წელიწადი 1912 მეორე

ორშაბათი, 27 თებერვალი № 60

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 3 თვით—1 მან. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

ორშაბათი, 27 თებერვალი № 60

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 2 საათიდან 3 საათამდის რედაქციაში Дворцовая д. Д З. Сараджева № 6. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

## მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთი

წელიწადი მეორე. **თემი** წელიწადი მეორე.

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ ✦ რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „Т Е М И". რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე.

Adresse télégraphique SANITAS

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

მთავარი საწყობი

პროვიზორ მ. ოსტროუმოვის

სამკურნალო კოსმეტიკის მოსკოვის

ინსტიტუტის ყველა ნაწარმოებისა.

მოიკითხეთ დაწვრილებითი პროსპექტები.

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

სასახლის ქუჩა **ძმ. ალშვანგები** ტელეფ. № 477.

მაღაზიაში დიდი არჩევანია

ახალ-ახალი სავაჭრონი.

დედა-კაცთათვის და მამა-კაცთათვის საცვალი.

სასადილო საცვალი. სალოგინო საცვალი.

ბლუზკები", „იუბკები", კაპოტები, მატინე, პარიზის მოდელები.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ-დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყოფ. 9-ნახ.—10 საათ.
ა. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა 11-ნახ.—12-ნახ.-მდე, სიფ., კან. და ვენ.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა 11-ნახ.—12-დე ყელ. ყურ. ცხვ. სნეულ.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოვ, დღე კვირის გარდა, შინაგ. ავად. 11-ნახ.—12 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდ 1—2 ს. ქირურგ. და ქალ. სნ.
შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე კვირის გარდა, 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ.

ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევა; აგრეთვე ეგაგ. ატრა და ძიძების გასინჯვა.

ფასი რჩევისათვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

წ ა მ ლ ო ბ ა „606"-ითა.

## პირველხარისხოვანი სასტუმრო

# კეწცელი

ნომრები 1 მ.—7 მანეთამდე, ელექტრონით განათება, ორთქლით გათბობა, ნომრებს უფასოდ ათბობენ, ასასვლელი მანქანა „ლიფტი", ვანები, „დუში", მისვლისთანავე მგზავრებს შეუძლიანთ ერთხელ ისარგებლონ ვანით უფასოდ.

## პირველხარისხოვანი რესტორანი

ევროპიული და აზიური საჭმელები. ცალკე კაბინეთები, პიანინო, ფოლიფონი, ქორწილებისა, სადილებისა და პიკნიკებისათვის ცალკე დარბაზი. ბილიარდები და კეგელბანი. სასტუმროში არის ცალკე სამკითხველო და სასტუმრო დარბაზი.

სადილები არჩევით, ქარტით.
2—ფერისა . . . . . . . . 60 კაპ.
3—ფერისა . . . . . . . . 75 კაპ.
4—ფერისა . . . . . . . . 1 მანეთი.

პატრონი **ნოე სიხარულიძე**.

იბეჭდება და მალე გამოვა **აკაკის** თხზულების პირველი წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იქნება ახალი ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და აგრეთვე ძველიც, ზოგიერთის შენიშვნებით და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება ათ შაურად. ● ხელის მოწერა შეიძლება თბილისს: წ. კ. გ. ს. და „ცოდნა"-ს წიგ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგ. მაღაზ. და კანტორა „იმერეთში"; ბათომს:—ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს:—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში.

## მიიღება ხელის მოწერა

ორიგინალურ თხზულებაზე

# როსკიპი

**რომანი** ორ ნაწილად თანამედროვე ცხოვრებიდან **დ. კასრაძისა.**

წიგნი მეტად საინტერესოა და იქნება დაახლოვებით 360 გვერდამდე.

## ფასი 60 კაპ.

წიგნები ხელის-მომწერლებს უსათუოდ დაურიგდებათ მარტის დამლევს

**თბილისის ხელის-მომწერთა მისამართი ადგილები:** გ. **ბეჟანიშვილთან**—კრასნაგორსკაია ქუჩ. № 19; **ილიკოსთან**—თამამშევის ქარვასლაში, სამანუფაქტურო მაღაზია აბაშიძისა, №№ 57—58; **არტ. გიორგაძესთან**, მიხაილოვის პროსპ. № 3; **ბართლომე კილაძესთან**—სტამბა „ბეჭდვითი საქმე" ველიამინოვის ქ., № 6; **დ. ნაკაიძესთან**—სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძულზე.

პროვინციის ხელის-მომწერთა მისამართი: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь", Э. Д. Горделадзе. ფულიც უსათუოდ ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს.

ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: 30 კაპ. ამ თავით, 30 კაპ წიგნის ჩაბარების დროს. გამომცემელი **დ. ნაკაიძე.**

თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო

# ბანკის

## ზედამხედველი კომიტეტი

აცხადებს ურთიერთის თავდებობით ბანკიდან მსესხებელთა საყურადღებოდ, რომ ქვემოდ აღნიშნულ დღეებში, ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზე), დილის 10 საათზე დანიშნულია **საარჩევნო კრება** 105 რწმუნებულის ასარჩევად სამის წლის ვადით 1912—1914 წ., პირველ ხარისხისა—27 თებერვალს, მეორე ხარისხისა 28 თებერვალს, ხოლო მესამე ხარისხის—29 თებერვალს მიმდინარე წელს. საარჩევნო კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

## სავაჭრო სახლი

# ი. გოკიელოვის შვილები

ქუთაისში

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიისა ამით ვაცნობებთ პატივცემულ [illegible] აბრეშუმის ჭიის თესლი **ხ. ხრისტოდულიდის**, [illegible]ლისა, როგორც უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხ. ქუჩა, აგრეთვე თავის აგენტებთან—სოხუმში—რაფიელ გოკიელოვის თუთუნის საწყობში; თბილისში—სტეფანე ა. დავითიანცთან, ქსენიევის ქ. № 6, გოკიელოვის სახლი; ბათუმში—მაჭარაძე და შეიშვილთან, ორიენსკის და დუნდუკარსაკოვის ქუჩის კუთხე; ახალ-სენაკში—ბართლომე ჭაჭიასთან. ფარცხანაყანებისთვის, ქვიტირისთვის, შადაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულისთვის, შვამთისთვის და წყალტუბოსთვის უმთავრეს აგენტად გაყიდვისთვის დანიშნულია **ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე,** რომელიც ცხოვრობს ფარცანაყანებში, იარმუკაში.

სიყალბის და შეცდომის ასაცილებლად ყოველ კოლოფზე დაკრული გვაქვს ჩვენი ფირმის ბეჭედი და თეთრი იარლიკი ქართული წარწერით, ამიტომაც ყიდვის დროს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება იარლიკს და ბეჭედს ჩვენი ფირმისას. ხშირათ შეაბრეშუმეები ეტანებიან იაფ ფასი ნ აბრეშუმის თესლებს ან გვიან უ დულობენ, რომ გამოსული თესლები იაფათ იყიდონ და ამგვარი უმნიშვნელო ეკონომიით შემდეგში ჰკარგავენ დიდ სარგებლობას. ვურჩევთ პატივცემულ აბრეშუმეებს ნუ დაიშურებენ რამოდენიმე აბაზს კარგი და დაუზიანებელი თესლის შესაძენათ და შეიძინონ ადრევე საუკეთესო ხარისხის **ხ. ხრისტოდულიდის** ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლი.

## სტამბა „ბეჭდვითი საქმე" კილაძისა

1912 წლის 1-ლ მარტიდგან 15 აპრილამდე

მართავს ხელის მოწერას ცნობილ მსოფლიო პოეტის

# ჰენრიხ ჰეინეს მე-5-თე და მე 6-სე

წიგნის რჩეულ ლექსებზე; თარგმანი **ჰ. ო—ლიასი;**

წიგნს დაერთვის წინასიტყვაობა, **ჰეინეს** ბიოგრაფია, სურათი და კარლ მარქსის მოგონება ჰეინეზე, წიგნი დაახლოვებით გამოვა 200 გვერდამდე მოზრდილი ზომის, დაიბეჭდება კარგს ქაღალდზე; ყოველივე ღონეა მიღებული, რომ გამოიცეს შნოიანად და ეღირება **60** კაპ. ხელის მომწერლებისათვის, ხოლო არა ხელის მომწერლებისათვის დაბეჭდვის შემდეგ წიგნი ეღირება ერთი მანეთი.

წიგნი ხელის მომწერლებს დაურიგდება არა უგვიანეს მაისის შუა რიცხვამდე.

ვინც ისურვებს ეს წიგნი მიიღოს მშვენიერს ყდაში იმან ეხლავე უნდა შემოიტანოს ყდის ფასად 40 კაპ. ვინც ისურვებს კვიტანციების გავრცელებას და დახმარებას, ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით:

თბილისი, ველიამინოვის ქუჩა, № 6 **ბართ. კილაძეს.**

## ექიმი

## გ. ფ. ნათიშვილი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავათმყოფობა. დილით 11 ნახ. ს.—1 ს. საღ. 7—8 ს. ადრესი: მონუმენტის შესახვევი № 5, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ტელეფონი** 486

## ექიმი

## ვ. ღამბაშიძე

საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ოლგას ქუჩა, № 29.

## თბილისი, 27 თებერვალი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა მეთაურმა წერილმა თავად-აზნაურულ საქმეების შესახებ დიდი აურ-ზაური ატეხა ამ წოდების დაწესებულებათა მმართველ წრეში.

მათი აზრების გამომსახველი ორგანო უბადრუკი „ზაკავკაზიე", რომელსაც მებაირაღტრობს „ცნობილი" მიხეილ მაჩაბელი, შემქმნელი წინა წლებში „შავი რაზმისა", არ ერიდება არაფერს, რომ ჩირქი წაგვცხოს და ჩვენ გამოგვიყვანოს კერძო ინტერესების დამცველად. ერთი სიტყვით მისი სურვილია ჩრდილი მიაყენოს ჩვენს წრფელ ნათქვამს.

რადგანაც ჩვენი რედაქციის სათავეში მდგომი ეკუთვნის დაბადებით თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, ამიტომ მიხეილ მაჩაბლის ორგანო ნებას აძლევს თავის თავს უკიჟინოს გაზ. „თემს" და მის ხელმძღვანელს ფარული მისწრაფება თავად-აზნაურულ საქმეთა წაძღოლის ხელში ჩაგდებისა.

ჩვენ მოვალედ ვრაცხთ, ერთხელ და სამუდამოდ გამოვაცხადოთ, რომ „თემის" წრეში სრულებით არ მოიძებნება ისეთი პირი, რომელსაც ან ოდესმე ან ახლა მეტადრე, ჰქონოდეს სურვილი თავად-აზნაურობაში რაიმე თანამდებობის ადგილის დაჭერისა.

თუ ვინმე „თემელთაგანი" კიდევ დაიარება „ბრწყინვალე" წოდების კრებაში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამოიყენოს თავის უფლება, შესაფერი გავლენა მოახდინოს საეროზო საკითხების გადაწყვეტის დროს. მათ სრულიად არ აინტერესებს თანამდებობის კაცთა არჩევნები და ამიტომ იგი არ ღებულობს მონაწილეობას ამ კენჭის ყრაში.

მერე, გაზეთი „თემი" სულ სხვა გამოცემაა, სხვა მიმართულებისა და სხვა მისწრაფებისა. მაშასადამე მისი მიტოლება სხვა რომელსამე ორგანოსთან ეს ან განზრახ უკადრისი საქციელია, ან სრული უმეცრება.

თორემ ნუთუ აქაური გაზეთების მკითხველმა არ უნდა იცოდეს, რომ გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩში" გავლენიანი თანამშრომელი სრულებით არ თანაუგრძნობს იმ მთავარ აზრს, რომელიც გამოთქმული იყო ჩვენს ამას წინად დასტამბულ „მოწინავე წერილში" თავად-აზნაურულ საქმეთა მიმართულების შესახებ?!

ჩვენი წინანდელი ნათქვამი თავად-აზნაურთა საქმეების შესახებ ჩვენს ღრმა რწმენას შეადგენს. რაც უნდა უსიამოვნება მოგველოდეს, ჩვენ მაინც ვიტყვით ვიწრო წოდებრივ ძმბდულების [illegible] ჰპატრონობენ.

ჩვენ გვეუბნებიან ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა „შავრაზმული" არ არისო. ეს არც გვითქვამს ჩვენ. ამას ჩვენ ვერც ვიტყოდით, რადგანაც ვიცით უმრავლესი ნაწილი ამ წოდებისა ისევე ღატაკი, ისევე ღარიბია, როგორც სოფლის გლეხობა და მუშა ხალხი.

ჩვენ თუ ვლაპარაკობდით „შავრაზმელობაზე" სახეში გვქონდა მხოლოდ და და მხოლოდ ის წრე, რომელსაც ჰმეთაურობენ ქართლის „შავი რაზმის" ყოფილი მებაირაღტრენი, მიხ. მაჩაბლის წინამძღოლობით.

„შავრაზმელობა" ყველა ქვეყანაში იღებს იმ განსაკუთრებულს ხასიათს და ელფერს, რომელიც ალაგობრივ ცხოვრებას შეეფერება.

ჩვენში, რასაკვირველია, არ არის შესაძლებელი „მარკოვობა", „კრუშევანობა", „პურიშკევიჩობა", „დუბროვინობა" იმ სახით, როგორიც მას აქვს რუსეთში.

მაგრამ არც ერთი ერი არ შეიძლება იყვეს მოკლებული ამგვარი ჯურის ხალხს. ქართველებიც ამ მხრით გამოკლებულნი არ არიან.

საკმარისია მკითხველმა გაითვალისწინოს მათი გულის ნადები, რომელსაც ისინი არა ჰმალავენ ხოლმე, როდესაც წოდებრივ ინტერესებს განსაცდელი რამე მოელის, რომ იგი დაგვეთანხმოს ჩვენს ნათქვამში.

ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება მარკოვ მეორისადმი მიმართული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წარმომადგენლის მიხეილ მაჩაბლის სიტყვა, წარმოთქმული პეტერბურგში. გვახსოვს რა რიგად აქებდენ მას მისი მეგობრები. მაშინ ამ სტრიქონების დამწერმა ერთ რუსულ გაზეთში გაკვრით მოიხსენია ეს ამბავი და მიხ. მაჩაბელს ქართველი „მარკოვობა" მიულოცა. თავად-აზნაურთა რეაქციონური ორგანო გვეუბნება ჩვენ, რომ თავად-აზნაურობას ბევრი თავისი თანხა გაუღია საქვეყნო საქმეებისათვის. ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით მაგრამ ამ საქმეში ყველაზე ნაკლები წილი მიხ. მაჩაბელს და მის მეგობრებს უდევთ. აქ თუ მოქმედებდა, ისევ ინტელიგენცია, რომლის სიყვარულში ახლა გვეფიცებიან ესენი.

ყველგან, სადაც თავად-აზნაურობის განსაკუთრებული ინტერესი მოითხოვს ჩვენი „ზუბრები" მალე ივიწყებენ თავიანთ „დემოკრატობას" და მაშინვე ვიწრო წოდებრივს ჰანგებს მიჰმართავენ ხოლმე. ასე მომხდარა წინად და ასე ხდება

ახლაც ყველა იმ საგნების განხილვის დროს, სადაც გლეხობის და თავად-აზნაურობის ინტერესები ეტაკებიან ერთმანეთს.

სხვა შორს-მჭვრეტელი ხელმძღვანელი თავად-აზნაურულ საქმეებისა უეჭველია დაინახავდა, რომ მთავრობისათვისაც კი სრულებით არ არის სასურველი, რომ გლეხობის ინტერესი დაიჩაგროს „მაღალი" წოდების სასარგებლოდ.

სწორედ ამ პოლიტიკას მისდევს მთავრობა და მისი ბიუროკრატია განაპირა მხარეებში. გავიხსენოთ გლეხთა მფარველობა მთავრობის მხრით ფინლიანდიაში და პოლონეთში.

მაგრამ ეს თვალსაზრისი სრულებით არ აინტერესებთ თავად-აზნაურულ საქმეების მესვეურებს. ისინი არ ერიდებიან არც „შავი რაზმის" შედგენას, არც სხვა დასხვა „რეპრესიების" გამოთხოვას.

ყველა ეს მტკიცებას სრულებით არ საჭიროებს. ეს დღესავით ცხადია.

არც ახალს რამეს ვამბობთ. ეს ყველამ იცის ჩვენში და ამიტომაც არავითარი პატივისცემა არა აქვთ მათ დამსახურებული არა თუ ინტელიგენციის წრეში, არა თუ მთელი ჩვენი ხალხის ფართო წრეებში, არამედ თვით თავად-აზნაურობის გაღარიბებულ ნაწილშიაც.

აბა გაჰბედონ დღევანდელმა ხელმძღვანელებმა და დააყენონ ეგრედ წოდებული „ნდობის საკითხი" ცენზოსან თავად-აზნაურთა კრებაში კი არა, არამედ დანარჩენ არა-ცენზოსან თავად-აზნაურთა წინაშე. ვნახოთ, რანაირ **ნდობას** გამოუცხადებენ მას ესენი... ახლა კი გამოდიან და საქვეყნოდ გაჰყვირიან, სახელს გვიტეხენ, შავრაზმელებს გვეძახიან, საქმეებს განზრახ გვირევენო!...

მთელს ინტელიგენციას კარი დაუხ-[illegible]

ისინი პროვოკატორულად იხმობენ სათათბიროდ „განრისხულ" მოღვაწეებსაც მხოლოდ იმ საკითხების განსახილველად, სადაც კრინტის დაძვრაც კი არ შეიძლება, რადგანაც თუ რამე წამოგცდა, ვინ იცის სად ამოგაყოფინებენ თავს.

დამსხდარან სამი-ოთხი კაცი კაბინეთში, მსჯელობენ, თათბირობენ, პლანს აწყობენ, გამოდიან იხმობენ კიდევ რამდენიმე თანამდებობის კაცს, ახლა ამათ მიაღებინებენ თავიანთ წინასწარ გადაწყვეტილებას; მერე კი საზოგადო კრებას იწვევენ და კომედიას თამაშობენ, რადგანაც წინდაწინვე დადგენილება აქვთ დამზადებული და რამდენიც უნდა უჩხიკინოთ, მაინც ვერაფერს გააწყობთ. და მერე კი ამბობენ ჩვენ პატივსა ვცემთ წინანდელ ნიჭიერ მოღვაწეებსო. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ წაჰბაძავდენ იმათ მაგალითს. ისინი იწვევდენ ყველა მიმართულების ხალხს, ანუ უკედ ვსთქვათ ყველა მიმართულების ხალხი მიისწრაფოდა თვითონ იმათთან აზრების გასაზიარებლად. თუმცა ის-ნიც მემარჯვენეებათ ითვლებოდენ, მაგრამ გაცილებით პატიოსანნი და ღირსეულნი იყვნენ დღევანდლებზე.

დიაღ მათ პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული საზოგადოების ფართო წრეებში!..

მაგრამ ეჰ, მახლას!

რა უნდა მოჰკითხოთ ახლა იმისთანა ხალხს, რომელიც მიხ. მაჩაბლის გაზეთში არ ერიდება შემდეგ სტრიქონების დასტამბვას:

„ჩვენ სრულებით არ ვეხებით ცხოვრებას ცალკე პირთა, ცალკე თავად-აზნაურთა, „ტიტულოსანთა" და „ინტელიგენტთა", რომელნიც ხშირად ეტანებიან ბიწიერ(?!)ცხოვრებას,რომელიც მავნებელია გუბერნიის და მათი წოდების ინტერესებისათვის(?!)და რომელთაც ებრძვიან წოდებრივი დაწესებულებანი, პრესა და **მთავრობა** (sic!..)".

იმავე თავის სწორ-უპოვარ ნაწერებში ეს ვაჟბატონები ბრძანებენ, რომ ოპოზიციის წევრები **„ამტუტებენ ყველაფერს", „ხელს გვიშლიან მშვიდობიანად ვისაქმოთო"**, საჭიროა ამიტომ „აილაგმონო".

ეს სულ მათი სიტყვებია.

ასე უმასპინძლდებიან თავიანთ იდეურ მოწინააღმდეგეებს ეს „სწორ-უპოვარი მოღვაწეები" და მერე კიდევ ბრძანებენ,

ინტელიგენცია გვიყვარსო და პატივსა ვცემთო.

რა არის ყველა ეს, თუ არ დასმენა?

სჩანს ქუთათურ „თანამოაზრეთა“ მაგალითმა წასძლია!..

გზა დავულოცოთ! დაე „იმოღვაწეონ“, აბეზღონ ინტელიგენცია. ეს მათი საქმეა...

ცხოვრება თავის გზით მიდის.

იგი მალე ჩანთქავს თავის უფსკრულში შემთხვევით ამონასროლ საზოგადოების უღირსს ელემენტებს...

## ჩვენი შინაური საქმეების გამო.

ქართულ პრესაში დამკვიდრებულ სხვადასხვა სახის მემარცხენე დემოკრატიულ მიმართულების წარმომადგენელთ დღემდის ვერ მოუხერხებიათ გამოეძებნათ, მოენახათ ზოგიერთ საკითხებში მაინც წერტილი შეთანხმებისა, შეხამებისა, შეგუებისა, ერთი-მეორის აზრთა მიწდომისა და ერთი-მეორის თანაბრად პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმისა.

დემოკრატიის პრინციპების დამცველთ ხალხისათვის ბედნიერების მოპოვების სურვილი და ჰუმანური აზრების ამოძრავება, ამოქმედებს, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მათი გათიშვისა მდგომარეობს თვით ამ აზრთა ჩამოყალიბებასა და შემუშავებაში. გარდა ამ უმთავრეს მიზეზისა, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ჯიუტობა, გადამეხინჯება მოწინაალმდეგის აზრისა და ცდა თავის ბურთის ლელოზე გატანისა, რადაც უნდა დაუჯდეს ასეთი ცდა. ამიტომ იშვიათად შეხვდებით, რომ იმათ ერთმანეთს რამე მოუწონონ, დაუჯერონ და ერთნაირი ნაბიჯი გადასდგან პრაქტიკულ საქმეში. თუ რამე სასწაული მოხდა და უნებლიედ მათ დაებადათ ერთნაირი აზრი ცხოვრებაში გასატარებლად, აუცილებლად შეეცდებიან ასეთ „შეცდომის“ გასწორებას და თანდათან, კვალ-და-კვალ ყოველნაირ „ზომებს“ მიიღებენ ასეთი აზრის ცხოვრებაში გატარების დროს გამოსძებნონ „პრინციპიალური“ უთანხმოება, შეუსაბამობა. ამნაირად საერთოდ გადასადგმელ ნაბიჯის საჭიროება იმარხება და იმართება ჩინური კედელი სხვადასხვა ჯგუფთა შორის.

დღეს არავისათვის დაფარული არ არის, რომ რეაქციის გამო რუსეთის უკიდურესი მემარცხენე დემოკრატია ჩაფლულია „წვრილმან“, მაგრამ ფრიად საჭირო სასარგებლო მუშაობაში. ნუ თუ უკი[illegible] გუნდის შედგენა და სხვა ასეთი საქმეები? სხვაგვარ პირობებში რო ვიყოთ ასეთი მოღვაწეობა დემოკრატიისა უარყოფილი იქნებოდა, რადგანაც მას სხვები გააკეთებდენ. დღეს კი ასეთი საქმიანობა მათი მხრით საჭიროა და მადლობის მეტი არაფერი ეთქმით ასეთ მოღვაწეებს. ამავე გზას ადგია რუსეთის მემარცხენე დემოკრატიის ქართველი მიმდევრებიც.

ქართველი, ეროვნულ ნიადაგზე მდგარი, მემარცხენე დემოკრატია რას მოიმოქმედებს? ესეც დახმარებას უწევს სწავლა-განათლების საქმეს საქართველოში, ეხმარება მეურნეობის განვითარებას და სხვ.

ორივე ზემო აღნიშნული დემოკრატიის მიმდევარნი თითქმის ერთნაირ საქმეებში არიან ჩაბმულნი ერთი განსხვავებით: რუსეთის დემოკრატიის სამოქმედო რაიონი უფრო ფართეა, ქართველი დემოკრატიის რაიონი კი შემოფარგლულია საქართველოთი. მორჩა და გათავდა! აქ რა აქვთ ერთი-მეორისადმი საკიჟინებელი?..

რუსეთის დემოკრატიის ქართველი წარმომადგენლები უწუნებენ ქართველ დემოკრატიას ეროვნულ ჩარჩოში ჩომწყვდევას და იქ საქმიანობას; ასეთ მოქმედებას დემოკრატიის საზარალოდ რაცხვენ და „შინაური საქმეებით“ გატაცებას პასივში უწერენ მათ.

სამაგიეროდ, ქართველი დემოკრატია წუნსა სდებს რუს. დემოკ. ქართველ წარმომადგენელთ მასში, რომ ისინი გაითქვლიფენ სხვებში, ყველაფერში ხელოვნურად აწებებენ უზარმაზარ რუსეთის ინტერესებს თავის ადგილობრივი პირობებისაგან წარმოშობილ ინტერესებს და ამნაირად მათი საქმიანობა საქართველოს საზარალოდ გამოჰყავთ.

საიმპერიო საკითხს რუს. დემ. ქართველ წარმომადგენლები რამოდენიმეთ უფრო მეტათ ჩასჩიჩინებენ, მაგრამ, ჩვენის აზრით, ქართველ დემოკრატიასაც იგი პირველ ხარისხოვან საკითხად მიაჩნია დღეს და შეძლებისდაგვარად მის გამორკვევას ხელს უწყობს.

ნუ თუ ებრაელთა უკიდურეს დემოკრატიის სურვილების გამომხატველი ჯგუფის მოქმედება გასაკიცხია? პოლონელთა და სხვა ერების დემოკრატიულ-ეროვნული ჯგუფებიც ხომ თითქმის იმავე სჩადიან, რასაც ქართველი დემოკრატია...

ჩვენი დაკვირვებით, ზემო აღნიშნულ სხვადასხვა სახის ქართველ დემოკრატიის წევრებს ბევრს შემთხვევაში მოუხდებათ ერთად მოღვაწეობა, ვინაიდგან ამას მოითხოვს ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესი. დანარჩენ „ლიბერალურ“ წრეებს, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოს ცხოვრებაში, ქართველი დემოკრატიული ჯგუფები ბევრს შემთხვევაში საერთო მოქმედების ხელშეკრულობას ვერ მისცემენ, რადგან „ლიბერალებსა“ და მათს შორის გადაუვალი ორმოა გათხრილი. რასაკვირველია, ამით არ უარვყოფთ ზოგიერთ მომენტებში „ლიბერალურ“ წრეებთან [illegible] ხასიათის ცხოვრებიდამ მოსალოდნელია ხოლმე. ასეთი მომენტი თავისთავად კიდევ არ გულისხმობს მომენტისაგან გამოწვეულ მოთხოვნილებათა ერთნაირი ზომებით დაკმაყოფილებასა.

როგორია ზოგიერთი საერთო სურვილები ერის ცხოვრებაში? მაგალითად ავიღოთ საქართველოს თანამედროვე საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობა. ჩვენში ძლიერ სუსტად არის განვითარებული მრეწველობა, თეატრალური საქმე, სწავლა-განათლება, არა გვაქვს მუზეუმი და სხვა. ეს ყველაფერი ერის საჭიროებას შეადგენს და ჩვენც, იმის და მიუხედავად თუ რომელ მიმართულებას ვეკუთვნით, უნდა შევაკავშიროთ ყველა პატიოსანი ქართველი და ეროვნული საჭიროება საერთო ძალით უნდა დავაკმაყოფილოთ. ასეთივე დროებითი ხასიათის შეთანხმება საერთო მოქმედებისა შეუძლია უკარნახოს ერს აგრეთვე იმ მდგომარეობამ,—რომელშიაც იმყოფებიან დღეს სპარსეთი, ჩინეთი და ბალკანეთის პატარა ერები.

აი, საერთო წერტილი ქართველი პროგრესიული ძალების შეკავშირებისა, ერთად მოქმედებისა.

სხვა და სხვა სახის ქართველ დემოკრატიის წევრებს შეუძლიათ ერთად იმოქმედონ იმ შემთხვევაში, როცა ცხოვრება წარმოშობს ქართველ „ლიბერალთაგან“ გამიჯვნის აუცილებელ საჭიროებას თვით ამავე ცხოვრებაში მომხდარ დიფერენციაციის დასადასტურებლად. მაგალითად, სახელ. სათათბიროში და საქალაქო არჩევნების დროს.

აქ არ შეგვიძლია მოკლედ არ შევეხოთ ქართ. დემოკრატიის წარმომადგენელთა მიერ თბილისის საქალაქო არჩევნებში დაკავებულ პოზიციას. აქ ყველა ქართველის ერთად დარაზმვა შეცდომათ მიგვაჩნია, ვინაიდგან ქართველობა ერთ სოციალურ ჯგუფს არ წარმოადგენს. ასეთი დარაზმვა ქართველობისა არ იყო ნაკარნახები აუცილებელი საჭიროებისაგან და ის „ტკივილები“ რომელიც ქართველებისათვის უმთავრეს მამოძრავებელ ძალად უნდა ჩაითვალოს, შეიძლებოდა სულ სხვა გზით მოგვესპო. ქართველ მემარცხენე დემოკრატიას უნდა შეედგინა ქართველ ამომრჩეველთა ახალი ჯგუფი; ამით აღინიშნებოდა საქართველოს სინამდვილეში მომხდარი კლასობრივი დიფერენციაცია და ადვილი იქნებოდა სხვა ერების წმინდა დემოკრატიული ჯგუფებთან შეკავშირება სასურველი ხმოსნების გასაყვანად. ამ შემთხვევაში რუს. დემ. ქართველი წარმომადგენლებიც შეუთანხმდებოდენ, თუ კი შეიმუშავებდენ საერთო პლატფორმას. მაგრამ შეუცდომელი არავინაა და ეს შეცდომაც გაკვეთილი შეიქნება მომავალი მოქმედებისათვის გამოსადეგი.

ეს არის საერთო მოქმედების წერტილი ქართველი სხვადასხვა სახის დემოკრატიისა, მაგრამ ამავე დროს არის ისეთი გარემოებაც, როცა კერძო, ჯგუფურ მოქმედებასაც ადგილი ექნება. ასეთ ცა[illegible] მოქმედების მიზეზით უნდა [illegible]ხის გამორკვევა.

ჩვენი სამოქმედო გეგმა შეიძლება ასე გამოიხატოს: 1) ერის ყოველივე პროგრესიული ძალების შეკავშირება: ა) გარეშე გასაჭირის თავიდან ასაცილებლად ეროვნული ინდივიდუალობის დასაცავად და ბ) ზოგიერთ კულტურულ დარგებში პირველი თვალსაჩინო ნაბიჯის გადასადგმელად (თეატრი, სწავლა-განათლების საქმე, ვაჭრობა-მრეწველობა და სხვა). 2) ერის სხვადასხვა სახის, თუ მიმართულების გამომხატველი მემარცხენე დემოკრატიის ძალების შეკავშირება: ა) საქალაქო, თუ სახ. სათათბიროს არჩევნების დროს და ბ) მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციების მოწყობა-განვითარებაში.

მოსალოდნელია მუშათა საქმის ამა თუ იმ საკითხის გამორკვევის დროს თვითეული წმინდა დემოკრატიული ჯგუფის ცალკე მოქმედება. ასეთი მოქმედება სასარგებლო იქნება და უფრო ნათლად გამოარკვევს სადაო კითხვებს მშრომელთა ფართო წრეებისათვის.

ამნაირად ჩვენ მოვძებნით სწორ ხაზს მოქმედებისას და სამოქმედო გეგმისათვის საჭირო სინტეზს. რამდენადაც რუს. დემ. ქართველი წარმომადგენლები უმაღლეს მწვერვალიდან ძირს დაეშვებიან და თავის ინტერნაციონალიზმს გააუქმებენ წმინდა, სპეტაკი ნაციონალიზმით და რამდენადაც ქართველი, ეროვნულ ნიადაგზე მდგომი, დემოკრატია თავის ნაციონალიზმს ამოავლებს ინტერნაციონალიზმის ემბაზში,—მით უკეთესი იქნება რუსეთის და ქართველი მშრომელი ხალხისთვის. ამით არც ერთი მიმდინარეობა არაფერს არ დაჰკარგავს. პირიქით, მოისპობა ის ნაკლი, რომელსაც ადგილი აქვს ახლა საქართველოს სინამდვილეში. დროა, ჩავფიქრდეთ!

**გრ. სვირ—სკანდელი.**

## ღვინის საწყობის დაარსების შესახებ.

გაზეთ „თემის“ 57 ნომერში დასტამბულია ბ. ივ. მჭ. წერილი შემდეგის სათაურით: „მოვუპოვოთ კახურ ღვინოს ბაზარი“!

ავტორის აზრს და წინადადებას არა მგონია ვინმემ კრიტიკა გაუწიოს, რჩევადარიგება სწორეთ სიმპატიურია, რა თქმა უნდა, თუ გამგონე აღმოჩნდა.

შარშან „თემში“ დაისტამბა ჩემი წერილი, სადაც სხვათა შორის გაკვრით ღვინის შესახებაც მქონდა საუბარი. ეხლანდელი ჩარჩ-მოვაჭრეების ხელში კახური ღვინის სიკარგე-ღირსებაზე ლაპარაკიც მეტია, არამც თუ რუსეთში აქ, საქართველოში, იშვიათი საშოვარია ნამდვილი წმინდა კახური ღვინო. კახურ ღვინის ეტიკეტით იყიდება ხელოვნურად შეზავებული ღვინო და, ცხადია, ნამდვილი კახური ღვინის ღირსება აქვს დაკარგული.

ჩვენ აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია შესდგეს და დაარსდეს ამხანაგობა „Опто-Кахетія“ ისე, როგორც ამას ბ. ივ. მჭ. გვირჩევს, გაიხსნას რუსეთში და აქაც [illegible] უსათუოდ უნდა იდგეს წევრი ამავე საზოგადოებისა.

მე მრწამს და მჯერა, თუ საქმე ისე მოეწყო, როგორც ბ. ივ. მჭ. გვირჩევს, ჩვენი კახურ-სვირულ-იმერულ ღვინოს, არამც თუ ყირიმ-ბესარაბიის ღვინო, საზღვარ-გარეთის ღვინოც კი მეტოქეობას ვერ გაუწევს. ჩვენ რომ ღვინის დაყენება, მოვლა და შენახვა ვიცოდეთ საზღვარ-გარეთის ღვინო უპირატესობას ვერ მიისაკუთრებდა, თუ მხედველობაში მივიღებთ მის სიძვირეს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამხანაგობის ფირმით გახსნილი დუქანი ორჯერ-სამჯერ მეტ მუშტარს მიიზიდავს, ვიდრე კერძო პირის დუქანი, რადგან ამხანაგობის ღვინის საწყობში გაიყიდება ნამდვილი ღვინო და ამ სინამდვილეში ეჭვი არავის შეეპარება.

საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ ღვინოს ფასი არ დაეკარგოს, ურთი-ერთ შორის კონკურენციის ადგილი არ ჰქონდეს, ჩარჩ-მოვაჭრეებს ნიადაგი გამოეცალოს, რომ მუშა მრეწველს თავისი ნაშრომი არ ეკარგებოდეს. საზოგადოდ ერის კულტურულად წინ-სვლა და ამაღლება ეხლანდელ დროში კომერციის აღორძინება-განვითარებაზეა დამოკიდებული. ჩვენ ქართველები, ისედაც ცოტანი ვართ და დაქსაქსვა ჩვენ დიდად გვაზარალებს.

ერთი პატივცემული პირი ახლო მომავალში აპირებს პეტერბურგში ღვინის საწყობის გახსნას და, თუ ამხანაგობა „Опто-Кахетія“ დაარსდა, სიამოვნებით შევა წევრად ამ ამხანაგობაში და ამხანაგობის ფირმით გახსნის იქ ღვინის საწყობს. ასეთი პატივცემული და მცოდნე პირი ბევრი აღმოჩნდება საქართველოში, რომელნიც რუსეთის დიდ ქალაქებში მაინც მოაწყობენ სავაჭროებს.

**ივანე თურქია.**

## ქვად იქცა.

(ლეგენდა)

### I

ჯერ უწინაც ყოფილან ცოდვიანები და ეხლანდელ დროში ხომ უცოდველი არავინ არ არის.

როგორც ეხლა იციან ცოდვების დამალვა თუ თავის მართლულობა, უწინაც თავის თავს დამნაშავეთ არავინ არ სთვლიდა და არ აღიარებდა ცოდვებს მოძღვრის წინაშე.

დიახ, უწინ სულ უწინ, ერთ მივარდნილ სოფელში ცხოვრობდა ერთი კაცი,—დიდი ხანია არ ზიარებულიყო და მოინდომა დიდმარხვაში წმიდა საიდუმლოს მიღება

— ტყუილად კი უნდა ვიარო ეკლესიაში და ვეზიარო, ფიქრობდა თავის თავად ეს კაცი: თავს თავისუფლად ვგრძნობ, ცოდვა არ ჩამიდენია. ის უნდა შეუდგეს მონანიების გზა-კვალს, ვისაც სინდისი სუფთა არა აქვს...

### II

— შვილო, გულ-ახდილად აღიარე თუ რომ ცოდვა რამე გაქვს,—გააფრთხილა მოძღვარმა: ღმერთი გაპატიებს.

— ჩემ დავთარში ცოდვა არ მიწერია,—მოახსენა მაზიარებელმა მღვდელს: ცამდის მართალი ვარ...

— ალბად დაგვიწყებია ჩაწერა, თორემ უცოდველი როგორ შეიძლება რომ იყვე?—დაიყოლია მღვდელმა: ყველანი ცოდვის შვილები ვართ, შვილო.

— გეფიცები მამაო, რომ... არც კაცი მომიკლავს, არც მომიპარია, არც...

— ნუ იფიცამ ტყუილად,—დაარიგა მოძღვარმა: შეიძლება არ გახსოვდეს, მოიგონე, მარტო ხომ მკვლელობა და ქურდობა არ არის ცოდვა?!

— არც არავისთვის მილალატნია, არც შურის თვალით მიმზერნია,—უხირდებოდა ეს კაცი მოძღვარს: პირშავი და ცოდვის პატრონი რომ ვიყვე, ერთ დღესაც არ ვიცოცხლებდი...

— არა მჯერა და არც დავიჯერებ—პირში უდგა მღვდელი: დაგვიწყებია ან არა და არ გინდა მოიგონო, თორემ როგორ დავიჯერო რომ ერთხელ მაინც არ შეგიცოდნია ღვთისთვის, ერთხელ მაინც არ გიწყენებია ვისმესთვის...

— არა და არა,—ცივ უარზე იდგა მაზიარებელი: მე ღვთის და კაცთ წინაშე მართალი ვარ...

არა სჯეროდა მღვდელს, ჰსურდა კი როგორმე დაეჭირა ცოდვაში და პატარა სასჯელიც მიეცა.

— მაშ კარგი,—უბრძანა მოძღვარმა ამ თავის ნათქვამ კაცს: ხვალ დილით ჩვენ მდინარესთან რომ რიყეა იქ გამოდი და... გამოჩნდება რა შვილიცა ხარ...

— ძალიან კარგი,—თამამობდა ახირებული: გინდა დაგენძლევები, რომ იოტის ოდენაც ცოდვა არა მაქვს, ტყუილად მოსცდები და თავს შეიწყენ ჩემ გამოცდაში...

— რახან არა ხუმრობ,—გაბეზრდა მღვდელი: მაშ სანძლეო დავდოთ.

— თქვენი ნებაა! რიყის ქვასავით გახდე თუ მე ცოდვა მქონდეს...

— ცოდო ხარ, ეგრე თავს ნუ იმტებ .. მოიგონე, შეიძლება რომ არ გახსოვდეს. .

— არა და არა...

### III

დილა ადრიანად ორივენი რიყეზე შეხვდნენ.

რიყე სავსეა ქვითა და ლოდებით, კენჭები ხომ უთვალავია.

— აი იმ ლოდს ხედავ?—მიმართა მოძღვარმა მაზიარებლს და მიუთითა ერთ ლოდისკენ· წადი და აქ მომიტანე ან არა და მომიგორე.

— ეხლავე მამაო,—გაუგონა მაზიარებელმა და ძლივ-ძლიობით მოუტანა ლოდი.

— აი იმ ქვასა ხედავ?—ახლა გაუშვირა ხელი ერთ ქვისკენ: წადი, ისიც აქ მომიტანე.

— ეხლავე მამაო,—გაიქცა და მოურბენინა ქვა.

— აი ახლა წადი და მომიტანე რამდენიმე კენჭი.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მოუტანა ერთი მუჭა კენჭი.

ამოვარდა საშინელი ქარი დედამიწას ჰგლეჯდა...

— ეხლა რას მიბრძანებ, მამაო?—შეეკითხა ეს კაცი მღვდელს, როცა ქარი ჩადგა: რა ვუყოთ ამ ლოდს, ქვას და კენჭებსა?

— აიღე, წაიღე და თავ-თავის ადგილზე დააწყე,—უბრძანა მღვდელმა: ჯერ ლოდი წაიღე.

ამ კაცმაც აიღო ლოდი და თავის ალაგას დასდო—დიდხანს არ მოუნდა ძებნა, ჩანდა კვალი.

— ეხლა ქვა დასდე თავის ბინაზე.

## მზის პოეტი.

მზევ, სხივმნათო შენსკენ მივეჩქარები!
მსურს შენს გულმკერდზე ავაწყო სიმები;
. . . . . . . .
შენს სტიქიონს, დაუძლეველს ჟამითა,
მსურს ვეფრქვიო მიწის ობოლ ცრემლადა
ს. აბაშელი.

### 1.

დღეს, როცა ჩვენში პოეტობა ადვილად მისაწვდომ ხელობად გადაიქცა, როცა მწერლები იმდენად გამრავლდენ, რომ რიცხვით, ვგონებ, მკითხველებსაც კი გადააჭარბონ, ასეთ დროს მეტად ძნელი ხდება უტყუარი ნიჭის აღმოჩენა—ცრუ პოეტთა ბანაკიდან ნამდვილი პოეტის გამორჩევა.

ამიტომაც არის, რომ ყოველ ახალ ნიჭს, ასპარეზზე ახლად გამოსულ მწერალს, მკითხველი საზოგადოება მეტად სკეპტიკურად და გულ-აცრუებულად უცქერის. მას ჰგონია, რომ ამგვარი მოლექსეები, ცოტა ხნის შემდეგ გამოფირფიტდებიან და წერასაც თავს გაანებებენ; მას სწამს, რომ ამ მწერალთა შორის უმრავლესობა შემთხვევითია.

მას საამისოდ, რამდენიმედ ეძლევა კიდეც ნება მას შემდეგ, რაც ბევრმა ახალგაზრდა, ნიჭიერმა პოეტებმა წერას თავი დაანებეს; გაიხსენეთ თუნდაც ასეთი ახალგაზრდა პოეტები, როგორიც იყვნენ: კაპ. გოგოლაძე, ლადო ახობაძე და მრავალი სხვ., ერთ დროს ისინი საკმაოდ იქცევდენ მკითხველის ყურადღებას, მაგრამ მათი ხანგრძლივი დუმილი, საზოგადოებას მათი შემოქმედების დასამარებად მიაჩნია. რასაკვირველია, ეს არავის არ აძლევს უფლებას ყოველ ახალ ძალას, ახალ ნიჭს უნდობლობით მოეპყრას. ამგვარი საქციელი დიდი ცოდვა იქნება, რადგან შესაძლებელია ზოგიერთ ახალგაზრდის შესანიშნავმა შემოქმედებამ ჩვენთვის უმნიშვნელოდ ჩაიაროს. რა თქმა უნდა, ყოველ მწერალთან ერთის საზომით ჩვენ ვერ მივალთ, რადგან მრავალ უნიჭოთა შორის ზოგი ნიჭიერი პოეტიც მოიპოვება.

ასეთ ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტთა ბანაკში, გარდა ევდოშვილისა, რუხაძისა, შანშიაშვილისა, გრიშაშვილისა და ზოგიერთ სხვათა, თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეთმოს პოეტ ს. აბაშელს.

ბ-ნი აბაშელი სულ უკანასკნელ ხანებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, სულ ცოტა ხანია, რაც ჩვენ მას ვიცნობთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან საკმაოდ მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

ვერ ვიტყვი, რომ ბ-ნ ს. აბაშელის ლექსები უნაკლულო იყოს. ხანდისხან თვალსაჩინო ნაკლსაც ვხედავთ, მაგრამ იმათში იმგვარი ღირსებაც მოიპოვება, რომელიც ამ შემოქმედებას ფრიად მაღლა აყენებს.

ნაკლზე ჩამოვაგდე ლაპარაკი და რომ ცარიელსიტყვაობა არ დამწამონ ბარემ მოკლედ მაინც ავღნიშნავ—თუ რაში გამოიხატება იგი. მით უმეტეს, ეს ნაკლი მარტო აბაშელს არ ეკუთვნის, არამედ ზოგიერთ სხვა მწერლებსაც, როგორც მაგალითად მეორე ახალგაზრდა, ნიჭიერ მწერალს ჰ. უმბაძეს.

ბ-ნ ს. აბაშელის ლექსებში მკითხველი ძნელად ამჩნევს ჩონჩხს, მთავარ ძარღვს, უმთავრეს იდეას, რომელზედაც ჩამოსხმულია ხორცი, სურათები.

ხელოვანის შემოქმედება ორ პროცესს განიცდის, მან ორი საფეხური უნდა გაიაროს. უპირველეს ყოვლისა მან უნუნდა ასწონ-დასწონოს, ნათლად გაირკვიოს ის დედა-აზრი, რომელიც მის შემოქმედებას დაედება საძირკვლად, მეორედ მან ეს მთავარი აზრი, შემოქმედების ფილოსოფია, ღრმა აზრი შესაფერ მიმზიდველ, მომჯადოებელ ფორმაში უნდა ჩამოასხას, რომ ჭეშმარიტება თავის სიტყვლით მომაბეზრებელი და მშრალი არ დარჩეს.

ეს მეორე მხარე ისე ძლიერად იტაცებს ახალგაზრდა პოეტს ს. აბაშელს, რომ პირველი, მთავარი აზრი ხშირად იჩრდილება, მარტივობას ჰკარგავს და მკითხველისათვის მეტად ძნელი ხდება მისი ამოკრეფა, გამოძებნა.

ეს იმით აიხსნება, რომ პოეტი მეტად აღფრთოვანებულია და მას იტაცებს ყოველი ახალი სურათი. ყოველი საგანი ბუნებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული მრავალ სხვა საგნებთან და, როცა ერთ მათგანს შეახებ ხელს, იგი სხვებზედაც გადადის, მაგრამ ამან იმდენად არ უნდა გაგვიტაცოს, რომ მთავარი საგანი, რომელსაც ჩვენ ვეცნობით, დაგვავიწყოს და მეორე ხარისხოვან საგნებზე ვიწყოთ მსჯელობა. ეს იმასა ჰგავს, რომ თეატრში მაყურებელი აქტიორზე უფრო დეკორაციებმა გაიტაცოს. აი ასე იტაცებს სხვადასხვაგვარი სურათები ბ-ნ აბაშელს; იგი, შეუმჩნევლად, ერთიდან მეორეზე გადადის, აქ კიდევ ახალ კავშირს აღმოაჩენს, ხელ-ახლა ახალ საგანზე გადადის და მიუხედავად იმისა, რომ ლექსი მეტად გრძელი გამოდის, აზრი, მთავარი იდეა მაინც ვერ არის საკმაოდ განმარტებული. სურათიანობა იტყუებს მას, აგრეთვე ჰ. უმბაძესაც და ამ სურათების წინ ორთავეს თვალები უბრწყინავენ.

ეს უმეტესად ჩვენს დროში უნდა ჩაითვალოს ნაკლად, რადგან დღეს მწერლის საუკეთესო მანერად სიტყვების ეკონომია ითვლება; აიღეთ ისეთი გამოჩენილი მწერლები, როგორიცაა სარდუ, (ამის პიესიდან აიღო სიუჟეტი დ. ერისთავმა „სამშობლო“-სათვის) კნუტ ჰამსუნი, მეტერლინკი, ანუნციო, ოსკარ უაილდი და სხვ., მათ მიერ დახატული სურათებიც მიუწდომელ და ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებენ, მიუხედავათ იმისა, რომ მეტად სხარტულად, მოკლედ, წერტილებით სწერენ,—სიტყვებზე მეტად ძუნწობენ. ამგვარი შემოქმედება ყოველთვის უფრო სტიქიონური და ძლიერია.

ჩვენში კი ბევრ მწერალს დღემდე ვერ შეუგნია, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“...

მე არას ვიტყვი ბევრს უნიჭო მწერალთა შესახებ, მაგრამ, როცა ცოტად თუ ბევრად ნიჭიერ მწერლებთან გაქვთ საქმე, როგორიც არიან აბაშელი და უმბაძე, მაშინ მცირე ნაკლიც თვალსაჩინოდ ხდება.

### 2.

ბ-ნ ს. აბაშელის პოეზიის ძირითადი ჰანგი „მიწის სევდაა“, სევდაა მიწის შვილისა, რომელიც მუდამ „მზისკენ“ ისწრაფვის, ამ სინათლის სიყვარულის და თავისუფლების სიმბოლოსაკენ, რომელსაც საუბედუროდ მუდამ თან სდევს ჩრდილი, შავი ღრუბელი, სინათლის და სიყვარულის მთრგუნველი უხეში ძალა.

თვითონ პოეტი მეტად ღრმად განიცდის ამ სევდას, იმდენად ღრმად, რამდენადაც ამ ცოტა ხნის წინედ სიხარულს განიცდიდა, როდის დადგა ეს ნეტარი დღე პოეტისათვის, როდის იყო ეს „დილა, რომელიც ასეთის ნეტარებით „ახსოვს“ პოეტს და რომელიც დღეს „ჩაქრა“?.. ეს გახლდათ იმ დიად დროს, როცა

„საუკუნეთ განაჭედი კაცთ-ბორკილი
იმსხვრეოდა,
ძველი ქვეყნის ძველი ჰანგი ახალ ჰიმნში ინთქმებოდა“, როცა
.....„ბრძოლის ცეცხლში იცვლებოდა
უკუღმართი მონის ბედი,—საუკუნეთ განაჭედი“!..
მაგრამ უეცრად „შავმა მტერმა, ქვესკნელიდან მონაბერმა
„შავ ბნელ ნისლში მოაწყვდია ვარდზამბახი და ბილილა
ჩაქრა დილა. შვების დილა“!

ასეთია დროთა ბრუნვის კანონი. ერთს მეორე სცვლის, რომ ხელ-ახლა შეიცვალოს და პოეტიც მოწამე გახდა გამარჯვების დამარცხებად შეცვლის და ამ სურათმა მის სათუთ არსებას ღრმა კვალი დააჩნია, მძიმე სევდამ დაიბუდა მის გულში.

ეს დამარცხება პოეტს გულს უკლავს და თუმცა დრო მიდის, მასთან ერთად ახალი ხანაც დადგება, ჩაგრული ხალხი კვლავ ამართავს გამარჯვების დროშას, მაგრამ ეს რკინის კანონიც არაფრად მიაჩნია პოეტს მისი კეთილშობილური, ნაზი ბუნება ვერ იტანს ბნელი ძალების დროებით გამარჯვებას და არც ჯერა თუ ეს დრო წარმავალია და მას ჰგონია, რომ

„დრო გაიყინა, გაქვავდა ცვალებადობა
ჟამისა“.

ასეთ დროს პოეტს მხოლოდ ის-ღა დარჩენია, რომ თავის ღრმა სევდას გამოძახილი თვითვე უთხრას; მარტოდ შთენილმა, მიტოვებულმა თვითვე მოილბოს ცრემლებით მძიმე წყლული; აი სად იშლება ფართო ნიადაგი ელეგიური ხასიათის ლირიკისათვის; ამას თვითონ პოეტიც ნათლად ხედავს, როცა ამბობს:

„გლოვამ მოიცვა სოფელი „ხან მკალედ განალიმები“...
. . . . . . . . .
„ელეგიურმა გულის თქმამ დასწყვიტა
გრძნობის სიმები“...

ავტორი აშკარად ამჩნევს ქვეყნიურ სიდუხჭირეს, უსამართლობას; ხედავს წყლში მოხრილ ადამის შვილს, რომელსაც წყვდიადი შემორტყმია და შავი ყორანი დასჩხავის თავზე.

ამ დროს მას შეეძლო შერიგებოდა ამგვარ ყოფას და ცრემლში შვება ეპოვა, მაგრამ მან სულ სხვა გზა აირჩია. აწმყო დასტოვა და მომავლისაკენ თვითონ გაექანა მისი მოუთმენარი გულით; მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ განეცადა სიამისა და ნეტარების წუთები; არა! მისთვის საკუთარი ბედნიერება არ არსებობს, მისი ბედი ჩაქსოვილია მისებრ ტანჯულთა ბედში; მაგრამ ეს რაზმი დღეს მოდუნებულია, მას რწმენა აკლია, ძალა გამოლევია; აი ამ რაზმს სჭირია ახალი ძალა, ენერგია, ახალი წინასწარმეტყველი და პოეტიც ამ მისსიის ამსრულებლად გამოდის, იგი თვითონ მიიჭრება მომავლისაკენ—მზისაკენ, რომლის გულში ასე უხვად არის ჩაქსოვილი სიყვარულისა და ნეტარების ჰიმნები:

„**დავტოვებ აწმყოს**“, ამბობს პოეტი ერთ უსათაურო ლექსში,

„...სულის აჩრდილად „**მომავალს მოვევლინები**,
რომ მას მოვსტაცო ჩაგრულთათვის სამოციქულო ჰიმნები“,

### 3.

ადამიანის რთული ბუნება მისწრაფებათა კონაა. მისი ცხოვრების აზრი ამ მისწრაფებაში გამოიხატება. რამდენადაც მდიდარი და რთულია ადამიანის ბუნება, რამდენადაც იგი უფრო ღრმაა, იმდენად მრავალგვარია მისი მისწრაფებაც, იმდენად მაღალია მისი მცნება და იდეალი, რომელიც ხშირად ბრბოსთვის სავსებით მიუწდომელია.

ამ მისწრაფების გზაზე ადამიანს სურს ყოველი გამოუცნობი გამოიცნოს, საიდუმლო ამოხსნას, ემპირიულად განმარტოს, შეზღუდოს და შეამციროს საიდუმლოების სამეფოს ფარგლები.

მაგრამ დიდი და ძნელია ეს გზა და რაც უფრო ნათელსა ჰფენ მას ადამიანი, მით უფრო რწმუნდება, რომ საიდუმლოებათა სამყარო, ბნელით მოცული მიდამო უფრო ფართოვდება და იზრდება... მაგრამ ბევრი მაინც არ სცხრება და მხნედ მიიწევს ამ გზით, უცდის იმ დროს, როცა მისი შემეცნება ყველაფერს მისწვდება, ახსნის და ემპირიულად განმარტავს. მაშინ მის წინ აღარ იქნება

ამ კაცმაც ქვა აილო და... ვერა და ვერ იპოვნა ქვის ადგილი: არა ჩანდა, ქარს სულ წაეშალ-წამოეშალა.

— რაო, რა დაგემართა კაცო.— დაეკითხა მოძღვარი: რით ვერ დასდე აქნობამდე თავის ადგილზე ეგ ქვა?

— არა ჩანს კვალი, დამავიწყდა,

— კარგი! შოიტა ეგ ქვა აქ და ეხლა ეს კენჭები აიღე და დააწყე თავ-თავიანთ ადგილზე.

— რასა ბრძანებ მამაო,— გაოცდა ეს კაცი: დამცინით?

— როგორ?

— სული წმინდა ხომ არა ვარ, მაგ კენჭების ადგილებს როგორ დავიხსომებდი?..

— ჰოდა მეც მაგას ვჩივი, რომ მეხსიერება გვღალატობს და როგორც მაგ კენჭების ბინა არ გვახსოვს, აგრეთვე პატარა სხვადასხვა ცოდვებიც აღარ გვახსოვს და არც გვინდა მოვიგონოთ...

— მართალსა ბრძანებთ,— თავ-მოკატუნებით მოახსენა კაცმა: მხოლოდ კენჭები და ქვა ანგარიშში მოსატანი არ არის— ლოდი ხომ დავდე თავის ალაგას?!.

— საქმეც ეგ არის რომ დიდი ცოდვა სჩანს, ვერც დაიმალება,— განუმარტა მღვდელმა: როგორც ლოდის ადგილი, მხოლოდ რომ ვიანგარიშოთ: რამდენიმე ქვა და კენჭი ერთ ლოდს ვერ უდრის, ვერ შეადგენს?

ეს კაცი დაიბნა— მიხვდა, რომ სანაძლეო წაგებული ჰქონდა.

— რას გაჩუმებულხარ, რატომ ხმას არ იღებ?

ეს კაცი გაშეშებულიღა იდგა, თითქო პირშავიაო, თითზე-ღა იკბენდა.

— სანაძლეოზე როგორა ხარ? ეგება მოგაგონდა წვრილი ცოდვები და ნანიობ?

ეს კაცი ხმას არ იღებდა, არც ინძრეოდა. მოძღვარმა ხელი წაავლო, ცივ:დ ეჩვენა.

— დიდება შენდა ღმერთო!— შეებრალა მოძღვარს ეს კერპი კაცი: გაქვავებულა.

. . . . . . . . . . . .

ეხლაც ამბობენ ხოლმე: ქსნის ხეობის რიყეზე ერთი ლოდია, გამოცხადებულ კაცსა ჰგავსო...

**დუშელი ვანო.**

## საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 13 თებერვლის კრება.

ორშაბათს 13 თებერვალს თავ.-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში მოხდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო. მოხსენება წაიკითხა ბ-ნმა ე. ს თაყაიშვილმა შემდეგ თემაზე: „რას წარმოადგენდა, ეგრედ წოდებული „აფხაზეთის ისტორია“ ბაგრატ-მეფისა, რომლითაც უსარგებლნია მე-17 საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოზს“.

მომხსენებელმა პირველად საზოგადოებას გააცნო დოსითეოზ პ ტრიარქის მოკლე ბიოგრაფია, მისი მოგზაურობა რუსეთსა და საქართველოში და მისი უმთავრესი თხზულება „ისტორია იერუსალიმის პატრიარქებისა“. ამ თხზულებაში დოსითეოზი ვრცლათ ეხება საქართველოს ეკლესიასაც და სხვათა შორის იხსენიებს ბაგრატ-მეფის მიერ შედგენილ „აფხაზეთის ისტორიას“, რომლითაც მას უსარგებლნია საქართველოში ყოფნის დროს.

ამ „ისტორიის“ ცნობები დოსითეოზის თხზულებიდან ამოკრებილი აქვს მარი ბროსესს ფრანგულ ენაზე. ქართული ტექსტი კი ამ „ისტორიისა“ დღემდე უც ობი იყო. მომხსენებელს ამ ახლო ხანებში ხელში ჩავარდნია ერთი ხელთ ნაწერი კრებული, რომელშიაც აღმოჩენილა, ეს მოკლე „ისტორია აფხაზეთისა“ ან უკეთ რომ ვსთქვათ, სახელმწიფო აქტი (ანუ სიგელი), რომელიც გამოუცია აფხაზეთის მეფეს ბაგრატ მე-3-ს, როცა აფხაზეთის ტახტზე ასულა (980 წელს). ამ აქტში ჩამოთვლილი არიან აფხაზეთის მმართველნი და მეფეები მე-6—10 საუკუნისა; მე-8 საუკუნის დამლევიდან ნაჩვენებია მეფობათა ხანგრძლივობაც, სწორედ იმ სახით, როგორც დოსითეოზის „ისტორიაში“ ყოფილა. ეს აქტი განუახლ ბია მეფეს კონსტანტინე მეორეს († 1414 წ.).

რეფერენტმა დაასკვნა, რომ ეს ახლად აღმოჩენილი აქტი უნდა იყოს სწორეთ ის წყარო, რომლითაც დოზითეოსს უსარგებლნია და რომელსაც იგი ბაგრატ მეფის მიერ შედგენილს „აფხაზეთის ისტორიას“ უწოდებსო. როგორც ვხედავთ ეს წყარო ყოფილა არა ვრცელი ისტოტორია, არამედ მოკლე სია აფხაზთა მეფეებისა ბაგრატ მე-III-მდე.

რეფერატმა აზრთა ცოცხალი გაცვლა-გამოცვლა და კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობას იღებდენ: დავ. კარიჭაშვილი, მღვდ. ვასილ კარბელაშვილი, ს. გორგაძე, ს. კაკაბაძე და სხვანი. ს. კაკაბაძე ძლიერ ფართოდ შეეხო ჩვენი საისტორიო წყაროების ანალიზს. თავისი ზოგჯერ ულმობელი და მკაცრი შენიშვნებით ცხოვლად დააინტერესა დამსწრე საზოგადოება. სასურველია ამგვარი რეფერატები ხშირ-ხშირათ იკითხებოდეს ხოლმე. მხოლოდ ისიც სასურველია, რომ მოკამათენი მეტის ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდენ ერთურთის აზრსა და შეხედულებას, სერიოზულს კამათში (როგორიც ამ სერიოზულ საზოგადოებას შეეფერება) პირადული უსი ამოენო შთაბეჭდილებას სტოვებს დამსწრე საზოგადოებაში.

## კავკაველ ქართველთა საკრედიტო ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება.

კვირას, თებერვლის 5-ს, კავკავის ქართული თეატრის დარბაზში შესდგა ქართველთა წვრ. კრ. ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 70 წევრი. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს მახ. მის. მღვდლიევი. ამხანაგობის საბჭოს თავმჯდომარემ თავ. ი. მ. ლორთქიფანიძემ რუსულსა და ქართულ ენაზე განუმარტა საზოგადო კრებას დღის წეს-რიგი და შემდეგ წაუკითხა ამხანაგობის მოქმედების 1911 წლის ანგარიში. წაკითხული და კრების მიერ მოსმენილი ანგარიშიდან გამოირკვა შემდეგი:

კავ. ქართულ წვ. კრედიტის ამხანაგობა დაარსდა 1909 წ. 26 ივლისს. ამხანაგობამ თავისი მ ქმედება დაიწყო 3046 მან. ძირითადი თანხით.— მაშინ მხოლოდ 45 წევრი ჰყავდა მას. როგორც ამ ძირითადი თანხით, ისე შემდეგ შემოსული, ან შემოტანილი ფულებით, ამხანაგობა სარგებლობს უპროცენტოდ ათი წლის ვადით, ხოლო ათი წლის შესრულების შემდეგ მთელი შემოწირული თანხა უნდა გადაეცეს წ. კ. გ. ს. კავკავის ქართულ სკოლას. საანგარიშო წლის განმავლობაში ამხანაგობის მოქმედება ორჯერ გადიდებულა; ამხანაგობას სახელმწიფო ბანკის ვალი სრულიად გაუსტუმრებია. თერგის ოლქის წვრ. კრედიტის საქმეთა კომიტეტის ნებართვით და საზ. კრების გადაწყვეტილების თანახმად სესხის რაოდენობა 200 მანეთამდი აუყვანიათ.

წლიური შემოსავალ-გასავალი 267,184 მანეთს უდრის. 1911 წ. შემოსავალ-გასავალს შედარებით 1910 წ.— მოუმატნია 56,454 მ. 07 კ.

ამხანაგობას შემოსვლია წმინდა მოგება 5802 მ. 39 კ., დაუხარჯავს 4079 მან. 16 კ. 1912 წ. 1 იანვარს საზოგადოებას დარჩენია ნაღდი ფული (წმინდა მოგებიდან)— 1723 მ. 23 კ.

საზ. ბალანსი უდრის— 44,342 მან. 57 კ. 1911 წლის 1 იანვარს საზოგადოებას ჰყოლია 335 წევრი, საანგარიშო წლის განმავლობაში შემატებია 263 ახალი წევრი 1912 წ. 1 იანვარს საზოგადოებას ჰყოლია სულ 588 წევრი.

კრებამ ანგარიში დაამტკიცა და 1723 მან. და 23 კ. წმინდა მოგება თანახმად წესდებისა გაანაწილა შემდეგ ნაირად: 40 პროც.— 689 მ. 28 კ. ძირითადი თანხის გასაძლიერებლათ, 20 პროც.— 344 მ. 65 კ.— სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად, ხოლო 40 პროც. 689 30 კ, ქართული სკოლის სასარგებლოდ.

შემდეგ კრებამ განიხილა სხვადასხვა უწყებაში აღნიშნული საკითხები და დაადგინა: 1) მიღებულ იქნას მდგომარე წლის გასვლის აღრიცხვა 1335 მანეთის ჯამის განსაზღვრით; 2) ძირითადი თანხის გასადიდებლად მიენდოს საბჭოსა და გამგეობას აღძრან შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკის წინაშე 3000 მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ; 3) ვადა გასულ სესხების გადამხდევინებელ პირის შრომის ასანაზღაურებლად დაწესებულ იქნას ამოგებული თანხის 4 პროც. მოვალეს ხარჯით; 4) საზოგადო კრების ყურადღება მიიპყრო წვრილი კრედიტის ინსპექტორის მოხსენებამ. ინსპექტორი თავის მოხსენებაში ეხებოდა თერგის ოლქ. წვრ. კრედიტის ამხანაგობათა კავშირის სარგებლობას და ურჩევდა საზოგადო კრებას გამოეტანა დადგენილება მომავალ კავშირში წევრად ჩაწერის შესახებ, რისთვისაც საჭიროა, 200 მანეთის გადადება და ამ ჯამის მდგომარე 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანა წილის შესაძენათ... ეხლავე რწმუნებულების არჩევა და სხვაო... საზოგადო კრებამ ინსპექტორის წინ დადების თანახმად დაადგინა: შევიდეს წევრათ მომავალ წვრილი კრედიტის დაწესებულებათა კავშირში, მიიღოს პასუხის მგებლობა კავშირის საქმეთა მსვლელობაში; ხოლო რწმუნებულებათ თერგის ოლქის კავშირის დამფუძნებელ კრებაზე მონაწილეობის მისაღებად საზოგადოების მხრით კრებამ აირჩია ი. ლორთქიფანიძე ი. გ. შილევი, ტ. ბ. კახიძე და გრ. ბურდული ხუთი წლის ვადით, აგრეთვე გადასდო 200 მანეთი წილის შესაძენად...

გამგეობის წევრებათ კრებამ აირჩია: ვ. ზირაქიშვილი, ს. სუჯაშვილი და ი. მ. ჩითაევი; ხოლო საბჭოს წევრებათ ისევ ი. ლორთქიფანიძე და ტ. ბ. კახიძე დასტოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ქართველთა საკრედიტო ამხანაგობა ენერგიულად მუშაობს. ამითი აიხსნება ოპერაციების გაორკეცება საანგარიშო წელს, წევრთა რიცხვის გამრავლება და სხვ.; თუ ასე სოლიდარულად და თანხმობით განაგრძეს მუშაობა არჩეულმა პირებმა, უეჭველია ამხანაგობის საქმეები უფრო თვალსაჩინოდ მოეწყობა.

**ვ. ობჩელი.**

## სასიამოვნო ამბავი.

ბრიუსელიდან გვწერენ, რომ იქ ამერიკელ მილიარდერი კარნეჯის შემოწირულების წყალობით გაიხსნა მეტად შესანიშნავი და ყურადღების ღირსი დაწესებულება— ეროვნული მუზეუმი. ამ დაწესებულებას სათავეში უდგას გამოჩენილი ბიბლიოგრაფი პოლ ოტლე.

მუზეუმს ბევრი განყოფილება აქვს. ამას წინად გახსნეს **პოლონეთის სექცია.** ამ სექციის პრეზიდენტად ბ. ოტლეს წინადადებით აირჩიეს იოტეიკოს ქალი, პროფესორი და ლაბორანტი ბრიუსელის უნივერსიტეტისა.

აი მოკლე მანში როგორც ხმა დადის, გაიხსნება მუზეუმის საქართველოს სექციაც. ამ სექციის პრეზიდენტად ასახელებენ ჩვენს თანამემამულეს ნიკ. ყიფიანის ქალს ბარბარეს, დაუვიწყარ დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილს.

სწორედ სასიხარულოა, რომ ეს საქმე ჩაჰბარდება პირველ ქართველ ქალს— მეცნიერს, რომლის რამდენმამე მეცნიერულმა თხუზულებამ უკვე მიიქცია საზღვარ-გარეთ ყურადღება სწავლულთა და საზოგადოებისა.

ამას წინად ესპანურ ენაზე გამოვიდა წიგნი, სადაც დასტამბულია მრავალი წერილი ექსპერიმენტალურ ფსიხოლოგიის შესახებ. ამ წიგნში ქ. იოტეიკოს სურათს გარდა ჩართულია ბ. ყიფიანის ქალის სურათიც.

თქმა არ უნდა, რომ ამ ქართული განყოფილებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის. ეს ახალი დაწესებულება ძალიან შეუწყობს ხელს ევროპიელ სწავლულთ და საზოგადოებას საქართველოს გაცნობი და შესწავლის საქმეში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოებაც და მეტადრე ჩვენი მეცნიერნი დიდის ყურადღებით მოექცევიან ამ სასარგებლო დაწესებულებას და შეავსებენ ამ განყოფილებას საინტერესო მასალით.

არ უნდა მოვერიდოთ არავითარ შრომას და ხარჯს...

## ხ ს ნ ა!

გადარეული ზღვა პაწაწა ნავს ენაზე ათამაშებდა, თითქო გადასაყლაპავათ ვერ იმეტებსო. გაფითრებულ მეზღვაურებს თავზე სიკვდილი დაჰფარფატებდა. ფიქრი ერთ წერტილზე გაჰყინოდათ.

— ხსნა! ხსნა!— უტრიალებდათ თვალწინ და ძალა შეკრებილები შეთანხმებით უსვამდენ ნიჩაბს

— ხსნა! ხსნა!— გაჰკიოდა მათ წინ რაღაც და სიკვდილის შავი ფრთების ტყლაშუნს აქრობდა...

მიჰქრიან წინ და ისევ იქ არიან. ბობოქარი ზღვა. შემოჰლმუით ულმობელი ტალღა ათამაშებს მათ უღონო ნავს.

— ხსნა!— სწერს მათ წინ შავ ცაზე წითელი ხაზი და ისინი ბეჯითად უსვამენ ნიჩბებს.

ნავი გაიქლინთა, დამძიმდა, იძირება...

— ხსნა! ხსნა!— ეჩურჩულება მეზღვაურს გული... ამხანაგი გაუმაძღარმა ტალღამ გაიტაცა... ერთი წუთით ამჩატდა ნავი, შეუბღუშდა ტალღის ენაზე. აწევა ნიჩაბს აზრ გაყინული მეომარი.

ნავი ტალღას ჩაეხვია.

— ხსნა! ხსნა!— მოისმის ტალღებში ობლად მებრძოლ მეზღვაურს

— ხსნა!— შესძახა კიდევ საწყალმა და ზღვამ მეომარი გულში ჩაიკრა...

ზღვა ახალ მსხვერპლისაკენ მიაგორებს ერთგულ ტალღებს...

**ალ. ცირეკიძე.**

## ახალი ამბები

✦ „მსხვერპლის“ ავტორი ბ. იოსებ გედევანიშვილი დაესწრო ამ პიესის წარმოდგენას ქართულ თეატრში. საზოგადოებამ პირველი მოქმედების შემდეგ გამოიხმო სცენაზე და დიდი ოვაცია გაუკეთა. წარმოდგენის შემდეგ არტისტებმა და პრესის წარმომადგენლებმა პატივსაცემად ვახშამი გაუმართეს. მრავალი გრძნობიერი და საინტერესო სიტყვა წარმოითქვა. ვახშამს დაესწრო პეტერბურგის ქართველ ახალშენში ცნობილი პირი ბ. რ. დ. არწივი (ყაზბეგი), რომელიც ერთ დროს გაზ. „რუსის“ დიდი სტამბის მმართველი იყო.

✦ გამოვიდა საყურადღებო წიგნი ბ. სიმონ ქვარიანისა „ქართველი ერის ტრაგედია მე-17-ე საუკუნეში. გიორგი სააკაძე და მისი დრო“. წიგნი გამოსცა ბ. რაჟდენ დათეშიძემ.

ძალიან კარგი გამოცემაა. ღირს 40 კ. თვით წიგნის შინაარსის შესახებ შემდეგ გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს.

✦ გუშინ დაასაფლავეს ბ. ალ. კვერკველაძე, რომელიც ცნობილი იყო თბილისის ლიტერატურულ წრეებში. თანაშრომლობდა „ივერიაში“ „ცნობის ფურცელ-ეში“ პირდაპირი და გულმართალი მწერალი და ადამიანი იყო განსვენებული. სხვათა შორის მან პირველმა გამოაშკარავა საბებიო ინსტიტუტში მომხდარი სასირცხო ამბები. 1905 წ. დიდ მონაწილეობას ღებ ლობდა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების წრეში, რისთვისაც სამსახურიდან განაძევეს!

დიდ ხანს ვერ იშოვა სამსახური განსვენებულმა, სანამ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ არ მიიღო სამსახურში თავის კანცელარიაში. მთელი მისი ჯახობა— მეუღლე შვილებითურთ— დარჩა უსახსროდ.

✦ განჯაში გამოდიოდა რუსული გაზეთი „იუჟნი კავკაზი“, ემსახურებოდა ადგილობრივ ინტერესებს, მაგრამ სიგუბერნიო ადმინისტრაციამ იმისთანა ძუხჭირ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ ვერ გაუძლო ჯარიმებს მისმა რედაქციამ გადაჰწყვიტა გაზეთის შეჩერება.

✦ უმაღლესად დამტკიცდა სენატორ ტრუსევიჩის მოხსენება კურლოვის, სპირიდოვიჩის, ვერიგინის და კულიაბკოს სასამართლოში მიცემის შესახებ. ეს საქმე გაირჩევა მარტში. სხდომა დახურული იქნება.

✦ ხმა დადის, თუ დ-რდანელის სრუტეში გაჩნდა იტალიის ფლოტი, რუსეთი თავის ფლოტს ბოსფორში შეიყვანს. მოელიან ამ მოკლე ხანში იტალიის ფლოტი ყუმბარებს დაუშენს დარდანელის სიმაგრეებს.

✦ დეპუტატი ბელოუსოვი გამოვიდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატებისფრაქციიდან.

✦ როგორც გვწერდით კვირას, 4 მარტს ქუთაისში ი. გრიშაშვილი მართავს საინტერესო „საღამო-მეჯლისს“. მოგვყავს პროგრამმა: პირველ გ ნყოფილებაში კიტა აბაშიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ლ. ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე“ (პლატონ კარატაევი და ოთარაანთ ქვრივი); მეორე განყოფილებაში წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს შემდეგი მწერალ-მოღვაწენი: ქ-ნი ჩარექოვისა, ილ. პონტელი, ქუმბაძე, ვ. რუხაძე, დ. მესხი, ნ. ლორთქიფანიძე, თაგუნა დ. თომაშვილი, გ. ტაბიძე, გუცა, ს. აბაშელი. ჯ. ჯორჯიკია და ი. გრიშაშვილი. სილოვანის ლექსს წაიკითხავს მსახიობი ხარდალიშვილი. მესამე განყოფილებაში ოსიკო ბარათაშვილი, იმღერებს რუსულ-ქართულ რომანსებს, იმღერებს აგრეთვე თარზე და დუდუკზე, შემდეგ ტანისამოსსა და გრიმებში წაიკითხავენ სცენებს: ვასო ურუშაძე (გურულს) ვალ. შალიკაშვილი (იმერულს) მ. ნემო (ებრაულურს) ი. გრიშაშვილი, (კინტოურს) ა. ყალაბეგიშვილი (ლეკები) და ნ. გოცირიძე (სომხურს) დასასრულ იმღერებენ „ვაი-ვუის“ ხმაზე ახალ, საამდროვო კუპლეტებს. იმედია ქუთაისის საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ საინტერესო საღამოს ახალგაზდა მგოსნისას.

✦ გაზ. „ბაქოს“ № 43-ში დასტამბულია საყურადღებო წერილი არჩილ ჯორჯაძის ნაწერების მეორე წიგნის შესახებ. წერილს სათაურად აქვს „ქართველ ინტელიგენციის წარსულიდან“.

✦ თბილისის სასულიერო სემინარიაში მოწაფეებმა ზოგიერთი მოთხოვნილება წამოაყენეს და გადასწყვიტეს სწავლა აღარ განეგრძოთ. სემინარიის მთავრობამ მოიხმო ადმინისტრაციისწარმომადგენლები, რომელთაც გამართეს ლაპარაკი მოწაფეებთან. ამათ გადასწყვიტეს სწავლა განეგრძონ. დააპატიმრეს 15 მოწაფე, რომელთაც სთვლიან მოთავეებათ. რუსი და ბერძენი მოწაფეები გაფიცვაში მონაწილეობას არ ღებულობდენ.

✦ ჩინეთში იუან შიკაიმ დაავალა ლიუხუნგს ნანკინში ნაციონალურ კრების წინაშე რესპუბლიკის ერთგულებაზე ფიცი მიიღოს. ასეთსავე ფიცს მიიღებს პეკინში მინისტრ კაბინეთის პრემიერი შანგშაოი. ნაციონალისტურმა კრებამ ნანკინში გადასწყვიტა მონგოლიას და ტიბეტს არ მიანიჭოს წარმომადგენლობა, რადგანაც პარლამენტში კამათი უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ჩინურ ენაზეო. კრებამ გადასწყვიტა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსოს განსაკუთრებული საბჭო, რომელშიაც მონგოლიას და ტიბეტს ეყოლებათ თავის წარმომადგენლები.

## „გატყდა კვერცხი“.

(ქართული ძველი თქმულება)

ერთს მდიდარ კაცს სამი ვაჟი ჰყავდა. ყოველნაირის სიმდიდრითა და დოვლათით სავსე იყო ამათი ოჯახი. მამა-შვილს ყველაფერი შემოჰქონდათ თავიანთ ოჯახში, რასაც კი შოულობდნენ თავისის მარჯვენითა, მუყაითობითა და გამჭრიახობით, საერთო სასარგებლოდ. აღარაფერი აკლდათ, რომ ადამიანს რამე მოენატრებიყო.

— ყველაფრით შემკულნი ვართ, უფროსმა ვაჟმა სთქვა, დიასახლისი-ღა გვაკლია მხოლოდ.

— მოდი, მამასა ვსთხოვოთ ცოლის შერთვის ნება მოგვცეს, წამოიძახა შუათანამ.

მივიდნენ სამნივე მამასთან და ასე უთხრეს:

— მამავ! ჩვენი ოჯახი მაღალ ღმერთისაგან არს კურთხეულ და დალოცვილ, ვართ ბედნიერნი და აი, დავვაჟკაცდით და რძლების მოყვანას შენს ოჯახში ნუ დაგვიშლი, დაგვლოცე და საცოლეები მოგვიძებნე.

— კარგი, შვილოსა, მამამ უთხრა, დამილოცნიხართ. ღმერთმა გაგაბედნიეროსთ, შეირთეთ თქვენი საბედო ვინც კი იქნება, თუ მოგეწონებათ, მაგრამ ჯერ გამოუცდელები ხართ, არ გინახავთ ხალხი, ქვეყნიერობა, არ იცით რა არის ქალი ოჯახში და კაცი. წადით, მოიარეთ ქვეყნიერობა, გაიცანით აქაურ-იქაური ცხოვრება, ჰნახეთ ხალხი. სადაც ჰნახოთ, შვილო, რომ, ოჯახში ქალი უფლობს— გასტეხეთ კვერცხი და თუ ჰნახეთ რომ კაცი უფლობს— აჩუქეთ ცხენი. წაიღეთ თან ას-ასი კვერცხი და წაასხით სამ-სამი ცხენი. ერთი ცხენი თოვლივით თეთრი იყოს, მეორე გიშრის ფერისა და მესამე ოქროს ფერისა. ეს ფერია სასიამოვნო ადამიანის თვალისათვის. ვადას გაძლევთ ერთს წელიწადს მოსავლელად. წადით, ჩვენს ჯოგში მეჯინიბეებს ამოარჩევინეთ ამისთანა ცხენები, საგზალი დაამზადებინეთ და გზა მშვიდობისა.. გაუდექით გზას.

მამამ დაამზადებინა ეს ყოველივე, გამოაწყო თავისი სამი ვაჟ-კაცი შვილი, დაულოცა გზა და გაისტუმრა.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთს ალაგას იყვნენ სადმე ფეხ-მოკვეცილი, თუ სულ გზას უნდებოდნენ, გავიდა სწორედ ერთი წელიწადი და ზედ წლის თავზედ დაბრუნდა შინ უფროსი

---

სიბნელე, შავი აჩრდილი და ისიც ნათელ მზის სხივთა წიაღში გაეხვევა.

პოეტი აბაშელიც მუდამ ამ მზისაკენ მიილტვოდა, მაგრამ მას მუდამ თან სდევდა შავი აჩრდილი და ისიც ბრაზმორეული გასძახოდა:

„ოჰ, რად არ ძალმიძს მოვიშორო
ფრთა აჩრდილისა.
. . . . . . . .
„ნათელს ციურსა რად აბნელებს, სხივს
რისთვის ჰკოცნის?!“...

(იხ. ლექსი „მზის წიაღში“).

ბევრი ვაება და მწუხარება განიცადა პოეტმა, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს,— „მოჰკლა შავი აჩრდილი“ და მის წინაშე აღმობრწყინდა დიადი, ნათელი მზე:

„აჰა, მზის მკერდიც, მოგუზგუზე, გაუქრობელი,
თავს დამქათქათებს, გულში მწვდება ცეცხლთ ნაკადულით,
**სხივს დავეწაფე, ალი შევსვი ცხოველ-მყოფელი
და ვეზიარე ცის კოცონზე მგზნებარე გულით“.**

თითქოს პოეტი კმაყოფილი და ბედნიერი უნდა იყოს, რადგან მას სჯერა, რომ საწადელს მიაღწია, „ჩრდილი მოკლა“ და ნამდვილი მზე იხილა, გულში ჩაეხვია და ეზიარა.

აქ მიზანია ყველა მიზანთა; ამ სამეფოში, „მზის წიაღში“ საიდუმლო, მიუწვდომელი აღარ-ფერი არ დარჩენილა; წინ გზა აღარ არის, აღარც მიზანი, ხოლო უმიზნოდ კი სიცოცხლე წარმოუდგენელია; მაშ აქ უნდა დადებოდა საზღვარი მის ცხოვრებას, რადგან ახალი იდეალი, სტიმული არსად სჩანდა... მაგრამ ნაჩქარევი გამოდგა პოეტის დასკვნა; ეს სრული სინათლე, უაჩრდილო მზე მას პირველად მოეჩვენა ამგვარად, რადგან წყვდიადს უჩვეული თვალები სინათლის წინ მრავალფერად აუბრწყინდა; ნამდვილად კი იგი „აჩრდილი“, რომელიც განუხორციელებელ მიზნის სიმბოლოა დღესაც აღიმართა მის წინ, სწორედ იმ ნეტარ წუთს, როცა მზის მოტრფიალე პოეტი „მზეს გაქცეულს დაეწია და მოსწყვიტა ოქროს სხივი“... (იხ. ლექსი „მიწის სევდა“ გაზ. „მნათობში“).

სწორედ ამ წუთს ნათლად შეამჩნია მან, რომ იგი აჩრდილი არ შორდებოდა „მიწის კომლი (ე. ი აჩრდილი) ცას სწვდებოდა, ნიავ-ქარით მონაბერი“.

4.

კვალად შეხვდა პოეტი იმ აჩრდილს, რომელსაც ასე გულმოდგინედ გაურბოდა, მაგრამ ეხლა ეს „კომლი“ მისთვის სულ სხვა რაიმე ძალას წარმოადგენს; მნათობის წიაღში მოვლენილმა აჩრდილმა **კვლავ დაუსახა** პოეტს ცხოვრების ფართო მიზანი, კვლავ ჩაჰბერა ახალი ძალა სიცოცხლისა და მას შეუყვარდა იგი აჩრდილი, შეუყვარდა „კომლი“, რომელიც „მიწის სევდას“ აგონებდა და მნათობთა სამეფოდან კვლავ ამ ქვეყნად მოუწოდებდა სამოქმედოდ... დღეს პოეტი ამ აჩრდილში „კომლში“ მშვენიერების განსახიერებას ჰხედავს.

„მასში ვპოვე“, ამბობს იგი, „ჩასახული ქანდაკება მშვენიერი“.., ეს მშვენიერი ქანდაკება დროთა ბრუნვის მხილებითი ძალაა, მას უპყრია ხელთ **ნამდვილი მზის, დიად ნნათობის** ბჭეს ჯადოსნური გასაღები და იგი ასწავლის პოეტს, რომელსაც ამ მზის ნახვის წყურვილი ჰკლავდა — დაუბრუნდეს სოფელს, რადგან მისთვის

„ცა მუნჯია და უგრძნობი,
არას ეტყვის, ნურას ჰკითხავს“

და თუ მას მართლა სურს ოდესმე ცის სივრცის საიდუმლოება ამოხსნას, მიწის წიაღში დაბრუნდეს სამოქმედოდ

„მიწის სევდას გაეცანი,—
ვარსკვლავებსაც წაიკითხავ“

დასძენს იდუმალი ხმა.

აქ მშვენივრადაა გამოსახული ის დედა აზრი, რომელიც ჩვენმა პუბლიცისტმა ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ გამოსთქვა ერთ თავის წერილში: „ცოტა რამ ხელოვნების შესახებ.“ „რელიგიამ“, ამბობს პატივცემული პუბლიცისტი, შეიძლება უარჰყოს მიწა და ხორცი, მაგრამ გულგრილად ვერ დადგება ამ მიწის და ხორცის წინაშე; „საიმქვეყნოს“ ყოველთვის საამქვეყნოს უვარგისობა ედება საფუძვლად და თუ აქ, რელიგიურ სფეროში მოსჩანს კავშირი ორ, თითქოს მოპირდაპირე სამეფოსი, იგი კავშირი აუცილებელი ხდება იქ, სადაც თვით სულიერი შემოქმედება ხორციელობაში ასე მკვიდრად არის გადაბმული!.. „ძალა ხელოვნებისა“ დასძენს უფრო ქვევით ავტორი, „მოულოდნელ და ძლიერ კონტრატებშია. თუ გიპყრობთ ძალა ირრაციონალურისა, რაციონალური საფუძველი, რომელზედაც დგეხართ, მეტად გამოაჩენს თქვენს სულიერ განწყობილებას“ და სხვ.

მას ვისაც სურს აბსოლიუტური, მეტაფიზიკური ჭეშმარიტება გაღმერთოს, მისკენ მიილტვოდეს, საფუძვლად უნდა დაედვას ემპირიული, რაციონალური სამეფოს ცნობა, მისი ყოფა...

ვისაც სურს ვარსკვლავების საიდუმლოება ამოიკითხოს, იგი ადრე მიწის სევდას უნდა გაეცნოს.

ეს არის უმთავრესი ძარღვი აბაშელის ლირიკისა; იგი მიხვდა ამას და მიწას დაუბრუნდა, მიწას, სადაც ბუდობს უსამართლობა, სადაც „კვნესა-ვაება, უბედობით გამოწვეული, ერთვის განცხრომაფუფუნებას კისკის-სიცილს“. *) მაგრამ ამ არევ-დარევაში, ამ მრავალფეროვანობაში, კონტრასტში ავტორი მაინც ამჩნევს მთლიან ძალას, ჰარმონიას, რომელიც ბრძოლაში მხილდება და რომლის მიზანი პოეტის საყვარელი, ერთგვარის სხივებით გაშუქებული მნათობია, **მზე;** მასშია სიცოცხლის ძალა და პოეტიც გვამცნევს რომ „ეგ ბრძოლის ხმაა, მომავლისა გამოძახილი,“

მასში გაჰკივის **საუკუნეთ ჩარხის ტრიალი...**

—

როგორც დასაწყისში ვსთქვი ბ-ნი აბაშელი უმთავრესად პეიზაჟისტია, მისი სურათები ყოველთვის თვალწარმტაცი ფერადებითაა ნახატი და შიგ ბევრ მზეს, ჰაერს და გაშლილობას ჰპოებთ, რომელიც მკითხველებს სიამით, მუსიკალობით გვხიბლავს, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ლექსების გაჭიანურებას და ზოგ სიტყვების, განმარტების განმეორებას, მაგალითად: „შხეფით— **მსხვრეულნი**“, „ჩრდილად **მსხვრეულის**“, „სხივებს **ამსხვრევს**“, „ცვრებად **დამტვრეული**“ და სხვ. სამაგიეროდ ლექსთა წყობა ძლიერია ალიტერაციის მხრივ მაგალ: „გრდემლის ზანზარში ხმალსა სჭედენ ამქუხრებულნი“, ასე გადმოგვცემს პოეტი ბრძოლის ხმებს **).

**აკაკი პაპავა.**

ქ. დორპატი.

*) იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 3.

**) ibid.

ვაჟი, მოიყვანა თავისი სამივე ცხენი, კვერცხები კი სულ დალეწა, არც ერთი აღარ მოჰყვა.

მეორე დღეს მოვიდა მეორე ვაჟი. ამანაც სამივე ცხენი მოიყვანა და კვერცხი კი—არც ერთი არ მოჰყვა.

მესამე დღეს დაბრუნდა უმცროსი ვაჟი და სხვის და გასაოცრად, მოჰყვა მხოლოდ ორი ცხენი და შერჩა ხელში ერთი-ღა კვერცხი.

ჯერ, რომ ცხენს უნაგირის მოხდაც ვერ მოასწრეს, დაინახეს რომ გზას მტვერი ასდის, თუმცა კი უქარო დღე იყო. გაიხედეს კარგად და ჰნახეს რომ ვიღაც ცხენოსანი მოაჭენებს ცხენს გამალებული. უცქირეს კარგა ხანს და ბოლოს როცა ამათ მიუახლოვდა, შეჰყვირა: შენი ჭირიმე, ბატონო, ჯერ ნუ მოხდი უნაგირს, წამობრძანდი, ბატონმა გთხოვა, მოგვეშველეო.

— რა იყო, რა დაგემართათ, ჰკითხა უმცროსმა ვაჟმა—რა და, შენი კვნესამე, შე რო ბატონს გიშრის ფერი ცხენი უბოძე,—ქალბატონი არა შვრება, არ მინდა, ოქროს ფერი მინდაო, გადააბრუნა იქაურობა, შენი ჭირიმე წამობრძანდი!

— ახავაითასა!! გატყდა კვერცხი!! წამოიძახა უმცროსმა ვაჟმა და ის ერთადერთი კვერცხი ხელში შერჩენილი იქვე კარის ბჭეზედ დაანარცხა!

— აბა, შვილებო, ახლა რას იტყვით, რომელ ქალის სანახავად წავიდე გასარიგებლად? ჰკითხა ღიმილით მამამ იქვე მდგომ ვაჟებს.

— აჰ, რასა ბრძანებ, არ გაგიწყრეს ღმერთი, არსად წახვიდე, ისევ უცოლოდ ყოფნა გვირჩევნია, ქალის მფლობელობის ქვეშე ყოფნასა,—ერთხმად უპასუხეს საჩქაროდ ვაჟებმა.

**კოტე ყიფიანი.**

# სქესის პრობლემა

## ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

### III

ფშიბიშევსკის რომანის (Homo Sapiens) მოქმედნი პირნი ფალკი და მიკიტა თანშეზრდილნი, მოგონებით და თავგადასავალით შეერთებულნი, სულით და გულით შეკავშირებულნი მეგობრები არიან. ფალკი განუზომელ სიხარულს განიცდის, როცა მას ცნობა მოსდის მიკიტას საზღვარ გარეთიდან დაბრუნების შესახებ. ბრუნდება მიკიტა, მაგრამ არა მარტო,—მას თან მოჰყავს თავისი საცოლო—და აი სწორედ აქ იწყება მისი უბედურება. მას მიჰყავს საცოლო იქ, სადაც ერიკ ფალკი იმყოფება. ის უახლოვებს მოკიდებულ პატრუქს ასაფეთქებელ ნივთიერებას. ის გაშმაგებულ მხეცს ანახვებს ხორცს.

„ეს არის ერიკ ფალკი"—აცნობს მიკიტა.

„მაშ ეს თქვენა ხართ?

„დიახ. მე"... აი პირველი სიტყვები ფალკის და იზას შორის, აი ერთი წამი ერთი თვალის დახამხამება, წუთიერი ხელის ხელში დაჭერა და... ფალკში მხეცი უკვე იბადება... გასაკვირალია ბინდი თვალებში ჩაწოლილი, რაღაც მთრთოლვარე საიდუმლოება ტუჩების კიდეებში, შუქმფენი სინაზე... „ღმერთო, რა მშვენიერება ხართ"—გულის სიღრმიდან აღმოხდება ფალკს. კიდევ რამოდენიმე წუთი და სრული თავდავიწყება იცავს მას. ის აშლილ ვნებისაგან თვალებ დაბურული ვეღარ ამჩნევს თავის მეგობარს და მის საცოლოს აღზნებული ტუჩებით მხურვალედ უკოცნის ხელებს. და აი ფალკი უკვე თავს აღარ ეკუთვნის. ის უკვე იმ მხეცის ბრჭყალებშია, რომელმაც ასე უცბად გამოიღვიძა. მას ცავს მოუსვენრობა, მასში იწყება სისხლის დუღილი. „გაიქეცი ფალკ,—გაიქეცი!" იძახის მასში რაღაც იდუმალი ხმა. „გაიქეცი, გაიქეცი, ფალკ"— ესმის მას მბრძანებელი კილო. ვისი ხმაა ეს ხმა? ეს ვნებათა ღრუბლით დაჩრდილული გონების ხმაა, მისი უკანასკნელი გამოძახილი, მისი გაფრთხილება. ფალკმა წარმოიდგინა, როგორ გაგიჟებით უყვარდა იზა მიკიტას, რა სიყვარულის ბედნიერებას ჰგრძნობდა ის, როგორი მხურვალე გატაცებით ლაპარაკობდა მიკიტა თავის სიყვარულზე... როგორ შეუწყობს ხელს მიკიტას მხატვრულ ნიჭის განვითარებას „არა, არა—ფალკი არ მოინდომებს ცოლსა თავისი მოყვარისა"... მაგრამ ეს გონების უკანასკნელი ცდაა, მისი უკანასკნელი შებრძოლება, ოდნავი წინააღმდეგობა. ერთი აზროვნული განცდა იმ სიტკბოებისა, რომელიც მან იგემა; იმ სხეულის სითბოსი, რომელიც მე ან იგრძნო, როცა იზას ხელს ტუჩებით შეეხო და—ყველაფერი ირღვევა. ვნებით აღტკინებული ტვინი უხატავს მას სურათს წარმტაცს და მომჯადოებელს. სურათი მის წარმოდგენაში ხორცს ისხამს, აზროვნული განცდა სულიერ განცდათ იქცევა... ის ოცნებაში იზას ეხვევა, მის სხეულს ეხება და გიჟურ მღელვარებას და გამოუთქმელ ნეტარებას განიცდის... სად უნდა გაიქცეს, ან რას უნდა გაექცეს? განა ის დამნაშავეა, რომ მის ხელში მხეცური ინსტიქტმა გაიღვიძა? „ხა, ხა, ხა"—ხარხარებს ფალკი—და ეს ხარხარი უკვე თავაშვებული და გამარჯვებული სქესის ხარხარია. ეს მაგალითი შესანიშნავია! მისი ფსიხოლოგიური ანალიზი გადაგვიშლის თვალ-წინ იმ უთანასწორო ბრძოლას, რომელიც თანამედროვე ინტელიგენტის არსებაში სწარმოებს სქესობრივ ინსტინქტთა და სულის შორის. ეროტიული სიგიჟე, როგორც გრიგალი, იქითაქეთ ახეთქებს ფალკს. ის ვნებისაგან გაცოფებული ნადირია. ის დაძრწის გაშმაგებული და ეძებს ხორციელ სიტკბოებას. მას ველარაფერი ვერ უმაგრდება წინ: ვერც ტანჯვა, ვერც სიკვდილი, ვერც სინიდისი და ვერც გონება. ის ყოველივეს გადალახავს და გადათელავს, ასე ძლიერია მასში ეს, საოცარი წყურვილი სქესისა. აი მან ამოითვალთვალა მსხვერპლი. მტრედსავით წმინდა და ნაზს ახლად გაშლილ ვარდის მშვენებით შემკულს და ვით ბავშვის ცრემლი—ანკარა **მარიტს** მან მოსტაცა უმანკოება. მისი ციური სიწმინდე, უზენაესი გულუბრყვილობა, მისი უსაზღვრო წრფელი სიყვარული მან ბარბაროსულად გასრისა სქესობრივ კმაყოფილების ტალახში, მსხვერპლად შესწირა თავის ხორციელ ნეტარებას. ის გარეთ გამოვიდა.

„ცა უცბად შავი, უზარმაზარი ღრუბლებით მოიფინა, რომელნიც თანდათან ძირს ეშვებოდენ. საშინელმა, ხანგრძლივმა გრგვინვამ შესძრა ჰაერი. ელვამ ორათ გააპო ცის თაღი. კიდევ გრგვინვა, ელვა ელვაზე და კოკისპირული წვიმა! ფალკს ერთი წუთის განმავლობაში ძაფიც არ შერჩენია ტანზე მშრალი, მაგრამ მან ამას ყურადღებაც არ მიაქცია. უეცრათ მის თვალ-წინ ბნელმა ცამ ხახა გააღო და ცეცხლის კონა წამოისროლა. კონა იგი გაიყო შუად ელვათ და იმავე წამში გზის პირად ამოსული ტირიფი ცეცხლმა მოიცვა. ელვამ ის წვერიდან ფესვამდი შუა გააპო.

— სიცოცხლე და განადგურება!.. რასაკვირველია, სადაც სიცოცხლეა, იქ განადგურებაც უნდა იყოს, დაღუპვაც...

— მარიტი! ჰო, მარიტი დაიღუპა... ფალკის თავში უცბად გაიქროლა ელვასავით მკაფიო აზრმა: მან დაღუპა მარიტი.

— ვითომ რატომ არა? მე ბუნება ვარ და ამიტომ კიდეც ვქმნი სიცოცხლეს და კიდეც ვღუპავ... მე მივაბიჯებ მსხვერპლთა გვამებზე იმიტომ, რომ ასე უნდა ვიარო: ვქმნი სიცოცხლეს იმიტომ, რომ უნდა შევქმნა.

მე—მარტო ერთი მე კი არა ვარ, მე—მე ვარ, შენ, ის—ღმერთი, მთფელიო, ბუნება და კიდევ... რა ვიცი რა ხარ შენ მუდმივი სისულელე, მუდმივი დაცინვა!.. მე კაცი არა ვარ, მე ზე-კაცი ვარ... ხა, ხა, ხა... ზე-კაცი!—ის ამ ფანტასტიურმა სიტყვამ ძალზე აცინა,—დიახ, ზე-კაცი, სასტიკი, სინდისს დაკარგული, მაგრამ დიადი და კეთილი! მე ბუნება ვარ და სინდისი არა მაქვს, იმიტომ რომ თვით ბუნებას ის არ გააჩნია... ზე-კაცი - ხა, ხა, ხა—ავათმყოფურად ხარხარებდა ის. ზე-კაცი! ხა, ხა, ხა... და მის თვალ-წინ იდგა ცეცხლის სვეტი—ცის წვდიადიდან ჩამოვარდნილი, რომელიც შუად ელვად გაიყო და გზაზე მტრედი იმსხვერპლა.—კიდევ ათას ელვად გაიყოფა, კიდევ ათას მტრედსა და ბავშვს მოჰკლავს და ასე იქნება უკუნითი უკუნისამდე. გაჩენა და სიკვდილი შობა და სპობა... იმიტომ რომ ასე სწადდა ბედს. იმიტომ რომ მე ასე უნდა ვქნა. იმიტომ რომ ამას მოითხოვენ ჩემი ინსტინქტები. იმიტომ რომ მე თვით მე არა ვარ. მე ვარ დამნაშავე დემონიური ბუნება—და ამისათვის ვიწვალო? სასაცილოა! განა იცის ელვამ რაზე ჰკლავს? განა მას შეუძლია თავის ნებით გამოიცვალოს მიმართულება? არა, არ შეუძლია! მას შეუძლია მხოლოდ აღნიშნოს, რომ დაეცა ამა და ამ ადგილს, დაანგრია ესა და ეს. მეც ავღნიშნავ და შემიძლია ოქმში. რომ დავღუპე უდანაშაულო მტრედი...

ფალკი, ეს განხორციელებული სექსუალობა, განხორციელებული სქესობრივი ინსტინქტია. მასში განუსაზღვრელად მძვინვარებს ვნებათა სტიქიონი. მისი შეჩერება ან განსაზღვრა არაფერს არ შეუძლია. ყოველგვარი ჯებირები და ზღუდეები გადანგრეული და წალეკილია, ინსტინქტთა ხმა ახრჩობს მასში სინიდისის ხმას. სინიდისი მის სულში ოდნავ მბჟუტავი ნაპერწკალია, რომელზედაც ვნებათა ქარტეხილს ნაცარი და ფერფლი წაუყრია. როცა ქარტეხილი დგება, წყნარდება—ნაპერწკალიც იწყებს ბჟუტვას, კიაფს, ცეცხლი ღვივდება და მაშინ ფალკი განიცდის წუთებს ტანჯვისას, რომელნიც მას საუკუნოებათ ეჩვენება. უეცრად ფარდა ეხდება მთელ მის ცხოვრებას. მის თვალ-წინ იშლება განკლილი გზა, გრძელი და ფართო, მოკირწყლული უდანაშაულო მსხვერპლთა გვამებით. ის ხედავს საფლავის ქვებს, რომელზედაც წარწერილია: „აქ განისვენებენ შენ მიერ დაღუპულნი და მოკლულნი". მას ეცხადება საშინელი აჩრდილი საყვედურის და ტანჯვის გამომეტყველებით სახეზე. მას ესმის მკრულავი ხმა და თავზარდამცემი სახელი მკვლელისა. ეს საშინელი წუთებია სირცხვილით წვისა და სინდისის ქენჯნისა. მას შუბლზე ცივი ოფლის ღვარი გადმოსდის და ტანში შიშის ჟრუანტელი უვლის. მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი, მომენტალური განცდაა და ფალკი ისევ ხარხარებს: დანაშაული, რომელსაც ბუნება სჩადის, მე არ მეხებაო. მასში აბსოლიუტურად მეფობს სქესობრივი ინსტინქტი და მთელი მისი არსება მას ყურმოჭრილად ემსახურება. ის უარჰყოფს და უკუ აგდებს ყველაფერს, რაც მას ვნებათა ტკბობას უშლის, რაც მის სქესობრივ მისწრაფებას გზაზე ელობება. მას ადამიანის მიერ შექმნილი კანონები და პრინციპები სასაცილოთაც არ ყოფნის. საზოგადოება თავისი ზნე-ჩვეულებებით მისი მმუსრავი სარკაზმის საგანია. ბუნების უზენაესი მიზანი სიცოცხლის შექმნაა, ამისათვის კი აუცილებელია სქესობრივი კავშირი. ფალკიც ამ მიზნისაკენ მიილტვის და ამით ასრულებს თავის ბუნებრივ დანიშნულებას, თავის წმინდა მოვალეობას. ბედნიერება ჩვეულებრივი წარმოდგენით ეს მაძღარი კმაყოფილებაა საზიზღარი და ბინძური. ბედნიერება უსაზღვრო ვით დრო და სივრცე, ძლიერივით შეერთებული ძალა სტიქიონთა მდგომარეობს წუთიერ განცდაში, სქესობრივ კავშირის წუთიერ სიტკბოებაში. ბედნიერება წყურვილია შეუღლებისა და მოკვლა ამ წყურვილისა. ამ წუთიერ ნეტარებას შეეწირების მთელი სიცოცხლე. სიყვარული მხოლოდ ბორკილია თავისუფლებისა. გრძნობა სრულ თავისუფლებაში უნდა გამოიხატებოდეს. სიყვარული კი შეიცავს ურიცხვ პირობებს და წვრილმანებს, რომელნიც თავისუფლებას ზღუდავენ და საწოლი ჰკარგავს თავის წარმტაც მიმზიდველობას. სქესობრივმა თავისუფლებამ უნდა გაშალოს დროშა და დაამკვიდროს ქვეყნად ტახტი თავის განუსაზღვრელ ბატონობისა. მან უნდა გადათელოს და გადალახოს ზნეობა, ლოღიკა—ეს საოცარი ლოღიკა მონებისა,—ცრუმორწმუნეობა, რელიგია, უფლება და სიმართლე. სქესობრივ ძალას უნდა დაემორჩილოს ყოველგვარი ძალა: ძალა ზნეობისა, ძალა გონებისა, ძალა რწმენისა. ულრმესი და უმშვენიერესი ინსტინქტი რელიგიის აზრით მხოლოდ ბინძური სურვილებია და აი-ფალკი, შურისძიებით გამსჭვალული, დაუზოგველ ბრძოლას უცხადებს რელიგიას. ის სთხრის მის ფესვებს, ანგრევს და მტვრათ აქცევს მის საძირკვლებს და სქესობრივ მიზნისაკენ გზას იკაფავს. მაგრამ ამოთვალთვალებული მსხვერპლი—განხორციელებული რელიგიური რწმენა და გრძნობაა. ეს ღვთის მოყვარე დღვთის მმოსავი მარიტია. აქ ფალკს უმკლავდება რელიგია. მისი გამარჯვება მხოლოდ რელიგიის დამარცხებით შეიძლება და აი ის თანდათანობით აწვევს სულში მარიტს ურწმუნოების შხამს. „რაზე დაიხართ ეკლესიაში"? ეკითხება ის.. „იქ სადაც ბრბო ლადის, სადაც ოფლის და ცუდათ მონელებული საჭმლის საზიზღარი სუნი ტრიალებს. ნუ თუ თქვენ მეტი სიამაყე და თავმოყვარეობა არა გაქვსთ?! კეთილმოქმედობთ, ქველმოქმედობთ, ასრულებთ სარწმუნოების მცნებას და მის წესს, იმიტომ რომ იქ საიქიოს სასუფეველს, ჯილდოს, სარგებელს, პროცენტებს მოელით. ეს ხომ ვაჭრობა და მევახშეობაა?"

ფალკმა არ იცის რაზე უბილწავს წმინდათა წმინდას მარიტს. ამას ის სჩადის ინსტინქტურად, სქესის ყრუ ძალდატანებით—და მხოლოდ შემდეგ გრძნობს, რომ ეს აუცილებელი იყო მარიტის დასამორჩილებლად. აქეთ მიჰყავს ის „სისხლის ხმას", ვნებათა ტალღებს. ის თავის თავს არ ეკუთვნის, მას თავის საკუთრება არ გააჩნია. მისი გონება, მისი ინტელექტი იარაღ დაყრილი და უძლურია. მასში ცხოვრობს მხეცი, რომელიც განაგებს ყოველ მის მოქმედებას, რომელსაც ბასრი კლანჭები ღრმად ჩაუსვია მის ხელში, რომელიც საშინელებას სჩადის, უბედურებას ჰქმნის ქვეყნად და ცრემლის გუბეებს აყენებს. მ.სში იღვიძებს შიში ამ შეხორცებული მხეცის წინაშე. მას უნდა გაიქცეს გაიქცეს თვალმიუწდომელი სიჩქარით, ყველა მატარებლებზე უფრო ჩქარა.. თავი შეაფაროს სადმე, განთავისუფლდეს, მოიპოვოს სულიერი სიმშვიდე, ჰარმონია. მაგრამ სად გაექცევა თავის თავს? სად დაიმალება იმას, რაც თვითონ მასშია დაბუდებული? ის სცდილობს გამოჰგლიჯოს თავის სული მხეცს. ის ოცნებობს ბედნიერებაზე თავის ცოლთან ერთათ. მას ეზიზღება თავის თავი, თავის წარსული, აწმყო. მას გიჟივით სწყურია ერთი ნამცეცი ბედნიერება, მაგრამ ამაოდ. მას სწადია თავის მოკვლა, მაგრამ წადილი სისრულეში ვერ მოჰყავს, რადგან ამისათვის საჭიროა ძლიერი ნება. თანამედროვე ინტელიგენტის თვალ-წინ ირკვევა საშინელი და თავზარდამცემი ფაქტი ცხოვრებისა: **სქესი იმონებს სულს.** სქესი სპობს გონების ბრძანებლობას და თავის განსაზღვრულ ძლიერებას და ალვირ ახსნილ თავისუფლებას ამყარებს ადამიანის ბუნებაში. თანამედროვე ინტელიგენტი იხედება თავის შინაგან არსებაში, უკვირდება იმ ქიდილს, რომელიც მუდამ სწარმოებს იქ. ვნებათა ღელვა, ცხოველის ინსტინქტთა დაუდეგარი შფოთვა! სქესობრივი გრძნობათა ტალღები საშინელის სიძლიერით ეხეთქებიან გონების და სულის ჯებირებს, არღვევენ და ნთქავენ თავის სივრცეში. სქესობრივი სტიქიონი ანადგურებს და აპარტახებს თანამედროვე ინტელიგენტის ბუნებას, ხრიოკ და ბნელ უდაბნოდ ჰქმნის მას, სადაც მხოლოდ ვნებათა ღელვის ღრიალი ისმის, სადაც მხოლოდ ქვენა გრძნობათა გრიგალი ტრიალებს. ასეთია თანამედროვე ტიპი, რომელმაც შეჰქმნა თავისი საკუთარი ახალი მოძღვრება, ახალი მცნება, ახალი ფილოსოფია, რომლის საშუალებითაც ის ხსნის და ამართლებს ყოველ თავის საქციელს და მოქმედებას სქესობრივ სფეროში. ეს მოძღვრება მისი ცოდვათა მიტევების მცნებაა.. მაზე დამყარებული ის თავისუფლად ეძლევა ვნებათა ტალღებს, პირუტყვულ გრძნობათა სტიქიონს მას აღარაფერის ეშინია. მას აღარაფერი აღარ აკავებს. ის სცოდავს და თვითვე იმართლებს თავს, შემცოდველიც და ცოდვის მიმტევებელიც თვითონ არის. მას თავის მოსყიდული მსაჯული ჰყავს, რომელსაც მუდამ მზათა აქვს მისი სრული განმართლების განაჩენი. ის აბრალებს ყველაფერს ბუნებას და თავის თავს მხოლოდ ბუნების ბრმა იარაღად აცხადებს. ბუნების მიზანია—ყველაფრის მოსპობა და დანგრევა და ყველაფრის ხელახლა შექმნა და აღდგენაო—ამბობს იგი. მუდმივი სპობა და მუდმივი შემოქმედება! ადამიანი მხოლოდ აგენტია, რომელიც ბუნების ბრძანებას ასრულებს, რომელიც უნებლიეთ იღებს მონაწილეობას ბუნების განმანადგურებელ და შემოქმედ მუშაობაში. განა მე დამნაშავე ვარო, ამბობს ფალკი, მარიტის დაღუპვაში? არა! ბუნებას დააბრალეთ ყველაფერი და მე კი ამ ბრალდებიდან გამანთავისუფლეთო. „მისმინეთ, იძახის ფალკი, მე მომაქვს თქვენთან სხვა ახალი მოძღვრებისა. მე აგიხსნით თქვენ ბუნების სულელურ ფინაზოობას, მის ფინებს, მის ფოკუსებს. ისმინეთ, რადგან ამაში არის ხსნა და შველა სატანას მაცდურების და ბუნების ბრჭყალებისაგან. უსმინეთ, უსმინეთ ახალ მოძღვრებას: ჰ რვეჯდა იყო ბუნება ბოროტი, მაცდური და არა წმინდა. თქვენ გეუბნებოდენ, რომ იგი დიადია, საშინელი, ცივი, ამაყი და გულგრილი. რომ ის არც კეთილია, არც ბოროტი, არც ტალახი და არც ოქრო.. ეს სიცრუეა. პატივცემულო საზოგადოებავ! სიცრუეა, სასაცილო სიცრუე! ბუნება ბოროტია, ჯოჯოხეთურათ, ზედმიწევნით ბოროტი, ცრუ და მაცდური. აი, რა არის ბუნება!. რა ვარ მე? განა იცი შენ? იცის იმან? რასაკვირველია ინდივიდუალისტები ბრძენი ხალხია: ისინი ხელს გულზე იცემენ და გაჰყვირიან—მე მე ვარო. ჰო, იმათ იციან, ხა, ხა, ხა.. მაგრამ მე არ ვიცი, რა ვარ მე! ვინა ვარ მე? საიდან მოვსულვარ და საითკენ მივალ? ოჰ, რა საოცრებაა, რა საოცრება! ხომ მართალია იზა? მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია დაინახო ეს საოცრება და ჩაიხედო მის საშინელ, უძირო სიღრმეში. მე ვგრძნობ, რომ ჩემი მოქმედება და მოძრაობა წარიმართება, რაღაც საიდუმლო პროცესებით, რომელნიც ჩემს სქესობრივ ორგანოებში სწარმოებენ და აი—აღსრულდა! რა აღსრულდა? უბედურება, უბედურება! ხა, ხა, ხა—ესმით, როგორ იცინის სატანა! ვინ ჩაიდინა ეს? მე? განა მე? ვინა ვარ მე? რა ვარ მე? არა, არა, მე არ ჩამიდენია! განა მე ძალმიძს თავი შევუკავო იმას, რაც დიდი ხნობით ჩემში იზრდებოდა მხოლოდ უცდიდა მოხერხებულ შემთხვევას, რომ ზღუდენი გადმოესხუთა და ყველაფერი წალეკა თავის განმანადგურებელი ნიაღვრით? განა მე ვიცოდი, რომ იგი ჩემ ბუნებაში იმყოფებოდა დამალული? განა მე შემეძლო ხელი შემეშალა, რომ ვისიმე თვალის სხივი არ შემოჭრილიყო ჩემ სულში და არ გამოეწვია ძალნი, რომელთა არსებობის შესახებ მე არა ვიცოდი-რა? და იმისთვის, რომ ეს უცნობო, ჩემთვის სრულიად უცნობი იწვევს ჰქმნის უბედურებას, მე უნდა ვიტანჯო, მე უნდა გზღო, მე უნდა მაწვალოს სინიდისის ქენჯნამ? არა, არა!.." ასე მსჯელობს ფალკის გონება! მაშასადამე რა როლს ასრულებს აქ გონება? გონება მხოლოდ ეძიებს და ჰქმნის სქესობრივ ინსტინქტების გასამართლებელ საშუალებათ. გონება იგონებს ისეთ თეორიებს, ისეთ მოძღვრებებს, რომელნიც მხოლოდ კვერს უკრავენ სქესობრივ ინსტინქტის ბრძანებლობას. აქ ერთგვარი ფსიხოლოგიური ხრიკი ხდება, თავის მოტყუება, ცრუ თავის დამშვიდება. გონება ამნაირად ყურმოჭრილი მონაა სქესის მოთხოვნილებათა. მის დანაშაულთა დამცველი, გამამართლებელი, მფარველი. ვნებამ დაიმორჩილა გონება. ეს უკანასკნელი მოწინააღმდეგე, მან აიღო ეს უძლიერესი და უმაგრესი ციხე და ამ გამარჯვების შემდეგ მას წინააღმდეგობას ვეღარაფერი უწევს და მამაკაცი მის ბრჭყალებში ფართხალებს. ხ ნა კი არსად არის. ქალის აჩრდილი მას უკან დასდევს. მას არ ძალუძს განთავისუფლდეს მისგან. მისი ბუნება ვნების ცეცხლში ინთქმება, მისი მთლიანობა ირღვევა, მისი შინაგანი ჰარმონია ისპობა. მის არსებაში ჩნდება და იბუდებს მეორე არსება, რაღაც უმსგავსი მხეცი, ვამპირი, რომელიც თავის გესლით სწამლავს მის სისხლს, უხშობს და უბნელებს გონებას, ატყვევებს სულს. „შიში! შიში!.. იცი მე მართლაც მეშინია იმ გარეშე არსების, რომელიც ჩემში იმყოფება. დიახ, ჩემში რაღაც უცნაური რამ არის, არ ვიცი რა. მის წინაშე სიკვდილისებურ შიშს ვგრძნობ". ეუბნება ფალკი იზას.

პირველ ყოფილი ადამიანი ველური განსაკუთრებით სექსუალური არსებაა, რომელიც თავისუფალ სქესობრივ დამოკიდებულებაში პოულობს უმაღლეს ნეტარებას და მასში ხედავს ცხოვრების და არსებობის აზრს.

**ს. ქავთარაძე**

## „ნაძალადევი"-ს თეატრი.

შაბათს 18 თებერვალს „ნაძალადევი"-ს თეატრში წარმოადგინეს სვ. სვიმონიძის საბენეფისოდ ტრაგედია შილერისა „ყაჩაღები" ქ-ნ ე. ჩიქოვანისა, ვლ. ალექსი-მესხიშვილისა, კ. ყიფიანისა, სვ. სვიმონიძისა, ნიკო გოცირიძისა და ნაძალადევი"-ს სცენის მოყვარეთა მონაწილეობით. თეატრის დარბაზი ხალხით გაიჭედა, ფასი ბილეთებისა ჩვეულებრივზე ერთი-ორათ იყო გადიდებული.

წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ვლ. ალექსი-მესხიშვილმა ნიჭიერად დაგვიხატა ფრანცის ბოროტება. საუცხოვო იყვნენ კ. ყიფიანი მოხუცებულ ფონ მოორის როლში, ნიკო გოცირიძე პატრის როლში ქ ნი ე. ჩიქოვანისა ამალიას როლში და ბენეფიციანტი სვ. სვიმონიძე კარლეს როლში.

კარგნი იყვნენ სცენის მოყვარეთაგან ა. გოგაშვილი შვეიცარის როლში და ვ. სადულიშვილი შპიგელბერგის როლში. მხოლოდ ცოტა სუსტობდნენ გ. გაბინაშვილი გერმანის როლში და გოჩიტაშვილი ყაჩაღის როლში, დანარჩენები კი ყველანი ხელს უწყობდნენ წარმოდგენის მწყობრად ჩავლას.

მეორე მოქმედების შემდეგ მობენეფისეს სცენაზე გაუმართეს ოვაცია. ა. გოგაშვილმა „ნაძალადევი"-ს სცენის მოყვარეთა სახელით მიართვა ფასიანი საჩუქარი და მადლობა გადაუხადა, როგორც მასწავლებელ-რეჟისორს. გრ. ჩარკვიანმა „ნაძალადეველთა" ამხანაგთა სახელით წაუკითხა ადრესი და მიართვა შევერცხლილი ყანწები. წაიკითხეს აგრეთვე ადრესები ჩერნო-ივანოვმა „ნაძალადევის" რუსული სექციის სახელით და ი. ფანიაშვილმა „ნაძალადევი"-ს სცენის მოყვარეთა წრის გამგეობის სახელით, და მოახსენა მადლობა უანგარო შრომისათვის. მობენეფისემ წარმოსთქვა სიტყვა. რომელშიაც მადლობა გადაუხადა პატივისმცემელთ და აღუთქვა უსასყიდლო შრომა.

მალე გაიმართება აქ საიუბილეო წარმოდგენა ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის პატივსაცემლად. მონაწილეობას მიიღებს თვით მსახიობი-ქალიც.

**თერგდალეული.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთის ახლობელ ნომერში შემდეგ სტრიქონებს:

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს უკიდურესი კრიტიკული მდგომარეობა, რომელსაც განიცდიდა დიდუბის ბიბლიოთეკა, არა ერთხელ მოგვიწოდებია სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებანი ყური ეგდოთ ამ მეტად მნიშვნელოვან განმანათლებელ დაწესებულებისათვის, მაგრამ საზოგადო გულგრილობამ აქაც იჩინა თავი და ეს კიდევ ნორჩი, ახლად ფეხ-ადგმული დაწესებულება კინაღამ მსხვერპლად შეიწირა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ასეც მოხდებოდა, მაგრამ თითო-ოროლა ადამიანს განსაცვიფრებელმა ენერგიამ, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულმა სძლია ყოველივეს და ბიბლიოთეკას კვლავ სული ჩაუდგა, მკვდრეთით აღადგინა! დღეს დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველო სასიამოვნო სურათს წარმოადგენს: აქვს საკმაო რიცხვი გაზეთებისა, მკითხველთა რიცხვი დღითი-დღე შესამჩნევად მატულობს. ერთი სიტყვით, ბიბლიოთეკა თანდათან ნორმალურ სახეს ღებულობს. გვაკლია მხოლოდ ქართული წიგნები და ეს კი მეტად აფერხებს საქმეს. ამის თავიდან ასაცილებლად გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ჩვენს მწერლებს შესწირონ ბიბლიოთეკას თითო-თითო ცალი თავიანთ თხზულებისა. მათთვის ცოტა დანაკლისი ბიბლიოთეკას დიდ სიმდიდრეს შესძენს. შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: წ. კ. გ. საზ. ან და თვით დიდუბის სამკითხველოში: დიდუბე, ელისაბედის ქუჩა, № 212.

დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგე ალ. თუთაევი.

რედაქტორ-გამომცემელი
**გრიგოლ დიასამიძე.**

პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკა

# — კავკაზი —

ა. ო. იმნაძისა და ამხ.

ქ. ბათუმი, თბილისის ქუჩა, სახლი № 76.

მზადდება საუკეთესო ჰიგიენური პაპიროსის ქაღალდის წიგნაკები,

**ძლიერ ზომიერ ფასებში.**

დაკვეთა სრულდება სწრაფად და რიგიანად.

ადრესი: **Батумъ, Тифлисская ул. № 76.**

სალიანის თევზით მოვაჭრე და მრეწველ

**ძმ. ძეგველოვების**

**მაღაზია**

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 9. ტელ. № 71

**ახალ-ახალი**

**ზუთხი** (ოსეტრინა) და **ტარაღანა** (სევრიუგა). ყოველ დღე **ცხელი დოში** საუკეთესო „პაიუსნი" **ხიზილალა.** გირვანქა 1 40 კაპ. აგრეთვე მიღებულია საუკეთესო ღირსების „**ხელითდკები**" სამეფო, დუნაისა, რიგისა, -ქერჩისა, ნამდვილი ზურგიელი. მიღებულია ამურის წითელი ხიზალალა, ნამდვილი სალიანის შამაიები, აგრეთვე აჩუევის დონის „რიბეცები".

**კიწმარაშვილის და ამხ.**

**თესლეულობის მაღაზია** ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე

იყიდება: იონჯის, სამყურის, კოლინდრის, ამერიკული ბალახი „პენცელარია" ... ოლის, დაფნის, ეკლის ხის. საუკეთესო ჯიშის თეთრი და ყვითელი ამბრეშუმის თესლი და ყოველგვარი ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვადასხვა თესლეულობის ნერგები და სხვადასხვა ნამყენი ხეხილების, დაფნის, ბჟოლის, ეკლის, ხის „ა...ციის" და იასამანის. აგრეთვე იყიდება ჩვენთან საუკეთესო ჯიშის **ჩაის** და ხავერდის ვარდის ნერგები.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული, № 1.